გ. class klasi1 { public int cvladi1; }
class klasi2 { public int cvladi2; }
class klasi3 : a2, a1 { public int cvladi3; }

7.1.9. რომელი კოდშია შეცდომა:

ა. class klasi1 { public int cvladi1; }
class klasi2 { public int cvladi2; }
class klasi3 : a1 { public int cvladi3; }

ბ. class klasi1 { public int cvladi1; }
class klasi3 : a1 { public int cvladi3; }

გ. class klasi1 { public int cvladi1; }
class klasi2 { public int cvladi2; }
class klasi3 : a2, a1 { public int cvladi3; }

protected მოდიფიკატორი

7.2.1. მემკვიდრეობითობის დროს:

ა. ძალაში არ არის დახურულ წევრებთან მიმართვისას არსებული შეზღუდვები

ბ. ძალაშია დახურულ წევრებთან მიმართვისას არსებული შეზღუდვები

გ. ძალაშია მხოლოდ დახურულ თვისებებთან მიმართვისას არსებული შეზღუდვები

7.2.2. მემკვიდრე კლასის მეთოდს:

ა. შეუძლია მიმართოს მემკვიდრე კლასის დახურულ წევრებს

ბ. შეუძლია მიმართოს წინაპარი კლასის დახურულ წევრებს

გ. არ შეუძლია მიმართოს წინაპარი კლასის დახურულ წევრებს

7.2.3. კლასის დაცული წევრი:

ა. გახსნილია მხოლოდ მემკვიდრე კლასებისათვის და დახურულია სხვა კლასებისათვის

ბ. დახურულია მხოლოდ მემკვიდრე კლასებისათვის და გახსნილია სხვა კლასებისათვის

გ. დახურულია როგორც მემკვიდრე, ისე სხვა კლასებისათვის

7.2.4. კლასის დაცული წევრი იქმნება:

ა. protected მოდიფიკატორის საშუალებით

ბ. public მოდიფიკატორის საშუალებით

გ. private მოდიფიკატორის საშუალებით

7.2.5. class klasi1 { protected int cvladi1; }
class klasi2 : a1 { public int cvladi2; }
კოდში:

ა. klasi1 კლასის cvladi1 ცვლადი უხილავია klasi2 კლასში

ბ. klasi1 კლასის cvladi1 ცვლადი ხილულია klasi2 კლასში

გ. klasi2 კლასის cvladi2 ცვლადი ხილულია klasi1 კლასში

7.2.6. class klasi1 { private int cvladi1; }
class klasi2 : klasi1 { public int cvladi2; }
კოდში:
ა. klasi1 კლასის cvladi1 ცვლადი ხილულია klasi2 კლასში
ბ. klasi2 კლასის cvladi2 ცვლადი ხილულია klasi1 კლასში
გ. klasi1 კლასის cvladi1 ცვლადი უხილავია klasi2 კლასში

7.2.7. class klasi1 { public int cvladi1; }
class klasi2 : klasi1 { private int cvladi2; }
კოდში:
ა. klasi1 კლასის cvladi1 ცვლადი ხილულია klasi2 კლასში
ბ. klasi2 კლასის cvladi2 ცვლადი ხილულია klasi1 კლასში
გ. klasi1 კლასის cvladi1 ცვლადი უხილავია klasi2 კლასში

7.2.8. class klasi1 { int cvladi1; }
class klasi2 : klasi1 { public int cvladi2; }
კოდში:
ა. klasi1 კლასის cvladi1 ცვლადი ხილულია klasi2 კლასში
ბ. klasi2 კლასის cvladi2 ცვლადი ხილულია klasi1 კლასში
გ. klasi1 კლასის cvladi1 ცვლადი უხილავია klasi2 კლასში

კონსტრუქტორები და მემკვიდრეობითობა. base საკვანძო სიტყვა

7.3.1. მემკვიდრე კლასის ობიექტი:
ა. მთლიანად იქმნება
ბ. ნაწილ-ნაწილ იქმნება
გ. არ იქმნება

7.3.2. თუ კონსტრუქტორი არ არის განსაზღვრული წინაპარ კლასში და განსაზღვრულია მემკვიდრე კლასში, მაშინ:
ა. მემკვიდრე კლასის ობიექტი არ იქმნება
ბ. წინაპარი კლასის ობიექტის კონსტრუირება სრულდება მისი კონსტრუქტორის მიერ, ხოლო მემკვიდრე კლასში განსაზღვრული ობიექტის ნაწილი კი იქმნება მისი ავტომატური კონსტრუქტორის მიერ
გ. მემკვიდრე კლასის ობიექტის კონსტრუირება სრულდება მისი კონსტრუქტორის მიერ, ხოლო წინაპარ კლასში განსაზღვრული ობიექტის ნაწილი კი იქმნება მისი ავტომატური კონსტრუქტორის მიერ

7.3.3. თუ კონსტრუქტორები განსაზღვრულია როგორც წინაპარ, ისე მემკვიდრე კლასებში, მაშინ:
ა. წინაპარი კლასის კონსტრუქტორის გამოსაძახებლად არ გამოიყენება base სიტყვა
ბ. მემკვიდრე კლასის კონსტრუქტორის გამოსაძახებლად გამოიყენება base სიტყვა
გ. წინაპარი კლასის კონსტრუქტორის გამოსაძახებლად გამოიყენება base სიტყვა

7.3.4. base სიტყვის გამოყენებით გამოიძახება ის კონსტრუქტორი, რომლის:
ა. პარამეტრების სია არ შეესაბამება არგუმენტების სიას

ბ. პარამეტრების სია შეესაბამება არგუმენტების სიას
გ. პარამეტრები სტატიკურია

7.3.5. მემკვიდრეობითობის დროს base სიტყვა ყოველთვის მიმართავს:
ა. უახლოესი წინაპარი კლასის კონსტრუქტორს
ბ. ბოლოს წინა კლასის კონსტრუქტორს
გ. მომდევნო მემკვიდრე კლასის კონსტრუქტორს

7.3.6. თუ მემკვიდრე კლასის კონსტრუქტორში არ არის მითითებული base სიტყვა, მაშინ:
ა. არ გამოიძახება წინაპარი კლასის ავტომატური კონსტრუქტორი
ბ. გამოიძახება წინაპარი კლასის ავტომატური კონსტრუქტორი
გ. არ გამოიძახება არც ერთი კონსტრუქტორი

7.3.7. წინაპარ და მემკვიდრე კლასებს:
ა. აუცილებლად უნდა ჰქონდეს საკუთარი კონსტრუქტორები
ბ. არ შეიძლება ჰქონდეს საკუთარი კონსტრუქტორები
გ. შეიძლება ჰქონდეს საკუთარი კონსტრუქტორები

7.3.8. წინაპარი და მემკვიდრე კლასის კონსტრუქტორები:
ა. ქმნის ობიექტის თავის ნაწილებს
ბ. არ ქმნის ობიექტის თავის ნაწილებს
გ. ქმნის ობიექტის ერთმანეთის ნაწილებს

7.3.9. წინაპარი კლასის კონსტრუქტორს:
ა. შეუძლია მიმართოს მემკვიდრე კლასის წევრებს და მოახდინოს მათი ინიციალიზება
ბ. არ შეუძლია მიმართოს მემკვიდრე კლასის წევრებს და მოახდინოს მათი ინიციალიზება
გ. არ შეუძლია მიმართოს მემკვიდრე კლასის წევრებს, მაგრამ შეუძლია მათი ინიციალიზება

7.3.10. თითოეული კონსტრუქტორი ქმნის ობიექტის თავის ნაწილს, რადგან:
ა. წინაპარი კლასის კონსტრუქტორს არ შეუძლია მიმართოს მემკვიდრე კლასის წევრებს, მაგრამ შეუძლია მათი ინიციალიზება
ბ. წინაპარი კლასის კონსტრუქტორს შეუძლია მიმართოს მემკვიდრე კლასის წევრებს და მოახდინოს მათი ინიციალიზება
გ. წინაპარი კლასის კონსტრუქტორს არ შეუძლია მიმართოს მემკვიდრე კლასის წევრებს და მოახდინოს მათი ინიციალიზება

ცვლადების დამალვა მემკვიდრეობითობის დროს

7.4.1. რომელი მსჯელობაა სწორი:
ა. წინაპარი და მემკვიდრე კლასების წევრებს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ერთი და იგივე სახელი
ბ. წინაპარი და მემკვიდრე კლასების წევრებს არ შეიძლება ერთი და იგივე სახელი ჰქონდეს
გ. წინაპარი და მემკვიდრე კლასების წევრებს შეიძლება ერთი და იგივე სახელი ჰქონდეს

7.4.2. თუ წინაპარი და მემკვიდრე კლასების წევრებს ერთნაირი სახელები აქვს, მაშინ:
ა. წინაპარი კლასის წევრი დამალულია წინაპარი კლასის წევრებისათვის

ბ. წინაპარი კლასის წევრი არ არის დამალული მემკვიდრე კლასის წევრებისათვის
გ. წინაპარი კლასის წევრი დამალულია მემკვიდრე კლასის წევრებისათვის

7.4.3. წინაპარი კლასის წევრი დამალულია მემკვიდრე კლასის წევრებისათვის მაშინ, როცა:
ა. წინაპარი და მემკვიდრე კლასების წევრებს ერთნაირი სახელები აქვს
ბ. წინაპარი და მემკვიდრე კლასების წევრებს სხვადასხვა სახელები აქვს
გ. ყველა მემკვიდრე კლასის წევრებს ერთნაირი სახელები აქვს

7.4.4. თუ განზრახ ვმალავთ წინაპარი კლასის წევრს, მაშინ:
ა. მემკვიდრე კლასის შესაბამისი წევრის წინ არ უნდა მივუთითოთ new ოპერატორი
ბ. მემკვიდრე კლასის შესაბამისი წევრის წინ უნდა მივუთითოთ new ოპერატორი
გ. მემკვიდრე კლასის შესაბამისი წევრის წინ უნდა მივუთითოთ static ოპერატორი

7.4.5. როცა განზრახ ვმალავთ წინაპარი კლასის წევრს, მაშინ მემკვიდრე კლასის შესაბამისი წევრის წინ მოთავსებული new ოპერატორი:
ა. ახდენს ობიექტის შექმნას
ბ. არ ახდენს ობიექტის შექმნას
გ. ახდენს კლასის შექმნას

7.4.6. წინაპარი კლასის დამალულ წევრთან მიმართვისათვის გამოიყენება:
ა. protected სიტყვა
ბ. public სიტყვა
გ. base სიტყვა

კლასების მრავალდონიანი იერარქიის შექმნა

7.5.1. რომელი მსჯელობაა სწორი:
ა. მემკვიდრე კლასი შეიძლება იყოს წინაპარი სხვა კლასებისათვის
ბ. მემკვიდრე კლასი არ შეიძლება იყოს წინაპარი სხვა კლასებისათვის
გ. წინაპარი კლასი არ შეიძლება იყოს მემკვიდრე სხვა კლასებისათვის

7.5.2. კლასების იერარქიაში კონსტრუქტორების გამოძახების რიგითობაა:
ა. წინაპარი კლასიდან მემკვიდრე კლასისაკენ
ბ. მემკვიდრე კლასიდან წინაპარი კლასისაკენ
გ. წინაპარი კლასიდან წინაპარი კლასისაკენ

7.5.3. კლასების იერარქიაში თუ არ გამოიყენება base სიტყვა, მაშინ:
ა. არ გამოიძახება თითოეული წინაპარი კლასის ავტომატური კონსტრუქტორი
ბ. გამოიძახება თითოეული წინაპარი კლასის ავტომატური კონსტრუქტორი
გ. გამოიძახება თითოეული მემკვიდრე კლასის ავტომატური კონსტრუქტორი

მიმართვები წინაპარი და მემკვიდრე კლასის ობიექტებზე

7.6.1. ერთი კლასის მიმართვით ცვლადს:
ა. შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ წინაპარი კლასის ობიექტზე მიმართვა

ბ. შეიძლება მიენიჭოს სხვა კლასის ობიექტზე მიმართვა
გ. არ შეიძლება მიენიჭოს სხვა კლასის ობიექტზე მიმართვა

7.6.2. წინაპარი კლასის მიმართვით ცვლადს:
ა. შეიძლება მიენიჭოს მემკვიდრე კლასის ობიექტზე მიმართვა
ბ. არ შეიძლება მიენიჭოს მემკვიდრე კლასის ობიექტზე მიმართვა
გ. შეიძლება მიენიჭოს წინაპარი კლასის ობიექტზე მიმართვა

7.6.3. კლასის წევრთან მიმართვის შესაძლებლობა დამოკიდებულია:
ა. მიმართვითი ცვლადის ტიპზე
ბ. ობიექტის ტიპზე
გ. მასივის ტიპზე

7.6.4. თუ მიმართვით ცვლადს, რომელსაც აქვს წინაპარი კლასის ტიპი, ენიჭება მემკვიდრე კლასის ობიექტზე მიმართვა, მაშინ:
ა. ამ ცვლადის საშუალებით შეგვეძლება მხოლოდ იმ წევრებთან მიმართვა, რომლებიც განსაზღვრული იყო მემკვიდრე კლასში
ბ. ამ ცვლადის საშუალებით შეგვეძლება მხოლოდ იმ წევრებთან მიმართვა, რომლებიც განსაზღვრული იყო წინაპარ კლასში
გ. ამ ცვლადის საშუალებით შეგვეძლება მიმართვა მხოლოდ მასივებთან

ვირტუალური მეთოდები

7.7.1. პროგრამის შესრულების დროს ვირტუალური მეთოდები უზრუნველყოფს:
ა. მასივებთან მუშაობას
ბ. ინკაფსულაციას
გ. პოლიმორფიზმს

7.7.2. ვირტუალური მეთოდის კოდი მემკვიდრე კლასებში:
ა. შეიძლება შეიცვალოს
ბ. არ შეიძლება შეიცვალოს
გ. შეიძლება შეიცვალოს სტატიკური მეთოდებისათვის

7.7.3. virtual საკვანძო სიტყვა გამოიყენება:
ა. სტატიკური მეთოდის გამოცხადებისათვის
ბ. აბსტრაქტული მეთოდის გამოცხადებისათვის
გ. ვირტუალური მეთოდის გამოცხადებისათვის

7.7.4. ვირტუალური მეთოდის ვერსიის არჩევა ხორციელდება:
ა. მიმართვითი ცვლადის ტიპის მიხედვით
ბ. იმ ობიექტის ტიპის შესაბამისად, რომელსაც მიმართვითი ცვლადი მიმართავს
გ. სტატიკური მეთოდის ტიპის მიხედვით

7.7.5. ვირტუალური მეთოდის არჩევა ხორციელდება:
ა. პროგრამის შესრულების დროს
ბ. პროგრამის შესრულების შემდეგ
გ. პროგრამის შესრულებამდე

7.7.6. რომელი მსჯელობაა სწორი:
ა. ტიპი განსაზღვრავს გამოსაძახებელი სტატიკური მეთოდის ვერსიას
ბ. ობიექტის ტიპი განსაზღვრავს გამოსაძახებელი ვირტუალური მეთოდის ვერსიას
გ. მიმართვითი ცვლადის ტიპი განსაზღვრავს გამოსაძახებელი ვირტუალური მეთოდის ვერსიას

7.7.7. მემკვიდრე კლასში ვირტუალური მეთოდის ხელახალი განსაზღვრისას გამოიყენება:
ა. override სიტყვა
ბ. virtual სიტყვა
გ. public სიტყვა

7.7.8. წინაპარ კლასში ვირტუალური მეთოდის განსაზღვრისას გამოიყენება:
ა. override სიტყვა
ბ. public სიტყვა
გ. virtual სიტყვა

7.7.9. ვირტუალური მეთოდი:
ა. შეიძლება განისაზღვროს params მოდიფიკატორის გამოყენებით
ბ. არ შეიძლება განისაზღვროს static მოდიფიკატორის გამოყენებით
გ. შეიძლება განისაზღვროს static მოდიფიკატორის გამოყენებით

7.7.10. მეთოდის ხელახალი განსაზღვრა ეწოდება ვირტუალური მეთოდის განსაზღვრის პროცესს, როცა:
ა. ნაწილობრივ ან მთლიანად იცვლება მეთოდის ტანი, ხოლო მეთოდის სახელი, პარამეტრები და მათი ტიპები იგივე რჩება
ბ. იცვლება მეთოდის ტანი და სახელი
გ. იცვლება მეთოდის სახელი და პარამეტრები

7.7.11. მეთოდის ხელახალი განსაზღვრა საფუძვლად უდევს:
ა. გამოსაძახებელი მეთოდის სტატიკური არჩევის კონცეფციას
ბ. გამოსაძახებელი მეთოდის დინამიკური არჩევის კონცეფციას
გ. მასივების განსაზღვრის კონცეფციას

7.7.12. ვირტუალური მეთოდის გადატვირთვა:
ა. აუცილებელია მხოლოდ მასივებისათვის
ბ. არ არის აუცილებელი
გ. აუცილებელია

7.7.13. თუ მემკვიდრე კლასს არ აქვს ვირტუალური მეთოდის საკუთარი ვერსია, მაშინ:
ა. არ გამოიყენება წინაპარი კლასის მეთოდი
ბ. გამოიყენება წინაპარი კლასის მეთოდი
გ. გამოიყენება მემკვიდრე კლასის მეთოდი

აბსტრაქტული კლასები

7.8.1. მეთოდის ხელმოწერა არის:
ა. მხოლოდ მეთოდის სახელი
ბ. დასაბრუნებელი მნიშვნელობის ტიპი, მეთოდის სახელი და პარამეტრების სია
გ. მხოლოდ პარამეტრების სია

7.8.2. აბსტრაქტული მეთოდების რეალიზება უნდა მოხდეს:
ა. წინაპარ კლასში
ბ. მემკვიდრე კლასებში
გ. მასივებში

7.8.3. აბსტრაქტულ მეთოდებს:
ა. ტანი არ აქვს
ბ. ტანი აქვს
გ. ტანი აქვს წინაპარ კლასში

7.8.4. აბსტრაქტული მეთოდების გამოცხადებისათვის გამოიყენება:
ა. params მოდიფიკატორი
ბ. public მოდიფიკატორი
გ. abstract მოდიფიკატორი

7.8.5. აბსტრაქტული მეთოდი:
ა. არ არის ვირტუალური მეთოდი
ბ. არის ვირტუალური მეთოდი
გ. არის სტატიკური მეთოდი

7.8.6. virtual და abstract მოდიფიკატორების ერთობლივი გამოყენება:
ა. დაუშვებელია
ბ. დასაშვებია
გ. დასაშვებია მასივებთან ერთად

7.8.7. abstract მოდიფიკატორი:
ა. შეიძლება გამოვიყენოთ მასივების მიმართ
ბ. შეიძლება გამოვიყენოთ სტატიკური მეთოდების მიმართ
გ. არ შეიძლება გამოვიყენოთ სტატიკური მეთოდების მიმართ

7.8.8. კლასი, რომელიც აბსტრაქტულ მეთოდებს შეიცავს, გამოცხადებული უნდა იყოს როგორც:
ა. აბსტრაქტული
ბ. ვირტუალური
გ. სტატიკური

7.8.9. აბსტრაქტული კლასის ობიექტის შექმნა:
ა. შესაძლებელია
ბ. შეუძლებელია
გ. შესაძლებელია ლოგიკურ მონაცემებთან ერთად

7.8.10. თუ მემკვიდრე კლასი არ ახდენს წინაპარი კლასის აბსტრაქტული მეთოდების რეალიზებას, მაშინ ეს მემკვიდრე კლასი გამოცხადებული უნდა იყოს როგორც:

ა. ვირტუალური
ბ. აბსტრაქტული
გ. სტატიკური

მემკვიდრეობითობის აკრძალვა

7.9.1. მემკვიდრეობითობის აკრძალვისათვის გამოიყენება:

ა. sealed მოდიფიკატორი
ბ. public მოდიფიკატორი
გ. protected მოდიფიკატორი

7.9.2.
sealed class Klasi1 { }
class Klasi2 : Klasi1 { } კოდი:

ა. არ შეიცავს შეცდომას
ბ. შეიცავს შეცდომას
გ. ხანდახან შეიცავს შეცდომას

პოლიმორფიზმის აკრძალვა

7.10.1. sealed საკვანძო სიტყვა:

ა შეგვიძლია გამოვიყენოთ მეთოდის მიმართ მემკვიდრე კლასებში მათი ხელახალი განსაზღვრის აკრძალვის მიზნით
ბ. არ შეგვიძლია გამოვიყენოთ მეთოდის მიმართ მემკვიდრე კლასებში მათი ხელახალი განსაზღვრის აკრძალვის მიზნით
გ. შეგვიძლია გამოვიყენოთ მეთოდის მიმართ მემკვიდრე კლასებში მათი ხელახალი განსაზღვრის ნებართვის მიზნით

7.10.2. მეთოდს, რომლის ხელახალი განსაზღვრა აკრძალულია მეკვიდრე კლასში, ეწოდება:

ა. დაულუქავი მეთოდი
ბ. დალუქული მეთოდი
გ. ღია მეთოდი

7.10.3.
class Sabazo { public virtual void Metodi() { } }
class Memkvidre : Sabazo { sealed public override void Metodi() { } } კოდი:

ა. ხანდახან შეიცავს შეცდომას
ბ. შეიცავს შეცდომას
გ. არ შეიცავს შეცდომას

7.10.4.
class Sabazo { public virtual void Metodi() { } }
class Memkvidre : Sabazo { sealed public override void Metodi() { } } კოდი:
class Klasi : Memkvidre { public override void Metodi() { } }

ა. ხანდახან შეიცავს შეცდომას

ბ. შეიცავს შეცდომას
გ. არ შეიცავს შეცდომას

ობიექტების ტიპების დაყვანა

7.11.1. თუ ხდება მემკვიდრე კლასის ობიექტის ტიპის დაყვანა საბაზო კლასის ტიპზე, მაშინ:
ა. სრულდება დაყვანა ზევით
ბ. სრულდება დაყვანა ქვევით
გ. სრულდება დაყვანა ობიექტის ტიპზე

7.11.2. თუ ხდება მემკვიდრე კლასის ობიექტის ტიპის დაყვანა მემკვიდრე კლასის ტიპზე, მაშინ:
ა. სრულდება დაყვანა ზევით
ბ. სრულდება დაყვანა ობიექტის ტიპზე
გ. სრულდება დაყვანა ქვევით

7.11.3. ერთი კლასის ობიექტები შეიძლება გარდავქმნათ მეორე კლასის ობიექტების ტიპად იმ შემთხვევაში, თუ:
ა. ეს კლასები არათავსებადია
ბ. ეს კლასები თავსებადია
გ. ორივე კლასი მემკვიდრეა

7.11.4. მემკვიდრე კლასი:
ა. არათავსებადია საბაზო კლასთან
ბ. თავსებადია საბაზო კლასთან
გ. ხან თავსებადია, ხან არა

7.11.5. ობიექტის ტიპის დაყვანის შემთხვევაში, მიმართვა შეგვეძლება მხოლოდ იმ წევრებთან, რომლებიც:
ა. განსაზღვრულია იმ კლასში, რომლის ტიპზეც არ ხდება დაყვანა
ბ. არაა განსაზღვრული იმ კლასში, რომლის ტიპზეც ხდება დაყვანა
გ. განსაზღვრულია იმ კლასში, რომლის ტიპზეც ხდება დაყვანა

7.11.6. კლასები არათავსებადია, თუ:
ა. ერთი კლასი არ არის მეორე კლასის მემკვიდრე
ბ. ერთი კლასი არის მეორე კლასის მემკვიდრე
გ. თუ ერთ-ერთი კლასი პრივატულია

თავი 8. თვისებები, ინდექსატორები და ოპერატორების გადატვირთვა

თვისებები

8.1.1. თვისება არის კლასის წევრი, რომელიც საშუალებას გვაძლევს:
ა. ვიმუშაოთ მხოლოდ მასივებთან
ბ. მეთოდების საშუალებით მივიღოთ ან შევცვალოთ ცვლადების მნიშვნელობები
გ. ვიმუშაოთ მხოლოდ წილადებთან

8.1.2. თვისება შედგება:
ა. მხოლოდ public მოდიფიკატორიანი მეთოდებისაგან
ბ. მხოლოდ სტატიკური ცვლადებისაგან
გ. მიმართვის get და set მეთოდებისაგან

8.1.3. თვისების get მეთოდი გამოიყენება:
ა. ცვლადის მნიშვნელობის მისაღებად
ბ. ცვლადის მნიშვნელობის შესაცვლელად
გ. ცვლადის მნიშვნელობისათვის წილადის მისანიჭებლად

8.1.4. თვისების set მეთოდი გამოიყენება:
ა. მხოლოდ წილადი მნიშვნელობის გასაცემად
ბ. ცვლადის მნიშვნელობის გადასაცემად
გ. ცვლადისათვის მნიშვნელობის მისანიჭებლად

8.1.5. თვისების set მეთოდს ავტომატურად გადაეცემა:
ა. value არაცხადი პარამეტრი
ბ. value ცხადი პარამეტრი
გ. კლასის მისამართი

8.1.6. თვისების set მეთოდისთვის ავტომატურად გადაცემული value პარამეტრი:
ა. არ შეიცავს ცვლადისათვის მისანიჭებელ მნიშვნელობას
ბ. შეიცავს ცვლადისათვის მისანიჭებელ მნიშვნელობას
გ. შეიცავს მხოლოდ მთელ რიცხვს

8.1.7. რომელი მსჯელობაა სწორი:
ა. თვისების სახელი არ შეიძლება გამოვიყენოთ გამოსახულებაში
ბ. თვისების სახელი შეიძლება გამოვიყენოთ გამოსახულებაში
გ. თვისების სახელი შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ მთელი რიცხვების მიმართ

8.1.8. რომელი მსჯელობაა სწორი:
ა. ჩვეულებრივ, თვისებაში არ ხდება ცვლადის გამოცხადება
ბ. თვისებაში აუცილებლად ხდება ცვლადის გამოცხადება
გ. თვისებაში ხდება მხოლოდ წილადი რიცხვების გამოცხადება

8.1.9. თუ თვისების სახელი მითითებულია მინიჭების ოპერატორის მარცხნივ, მაშინ:
ა. გამოიძახება get მეთოდი

ბ. არ გამოიძახება არც ერთი მეთოდი
გ. გამოიძახება set მეთოდი

8.1.10. თუ თვისების სახელი მითითებულია მინიჭების ოპერატორის მარჯვნივ, მაშინ:
ა. გამოიძახება get მეთოდი
ბ. გამოიძახება set მეთოდი
გ. გამოიძახება ორივე მეთოდი

8.1.11. რომელი მსჯელობაა სწორი:
ა. თვისება შეიძლება გადაეცეს მეთოდს, როგორც ref ან out პარამეტრი
ბ. თვისება შეიძლება გადაეცეს მეთოდს, მხოლოდ როგორც ref პარამეტრი
გ. თვისება არ შეიძლება გადაეცეს მეთოდს, როგორც ref ან out პარამეტრი

8.1.12. რომელი მსჯელობაა სწორი:
ა. თვისება შეიძლება იყოს გადატვირთული
ბ. თვისება არ შეიძლება იყოს გადატვირთული
გ. თვისება ნაწილობრივ შეიძლება იყოს გადატვირთული

8.1.13. რომელი მსჯელობაა სწორი:
ა. ჩვეულებრივ, თვისებამ არ უნდა შეცვალოს ცვლადების მნიშვნელობა get მეთოდის გამოყენებით
ბ. თვისებამ აუცილებლად უნდა შეცვალოს ცვლადების მნიშვნელობა get მეთოდის გამოყენებით
გ. თვისებამ აუცილებლად უნდა შეცვალოს მხოლოდ სტრიქონი get მეთოდის გამოყენებით

ინდექსატორები

ერთგანზომილებიანი ინდექსატორები

8.2.1. ინდექსატორი საშუალებას გვაძლევს ობიექტის ცვლადებს მივმართოთ:
ა. ობიექტის სახელისა და ინდექსის საშუალებით
ბ. მხოლოდ ობიექტის სახელის საშუალებით
გ. მხოლოდ ინდექსის საშუალებით

8.2.2. ინდექსატორს შეიძლება ჰქონდეს:
ა. ერთი ან მეტი განზომილება
ბ. მხოლოდ ერთი განზომილება
გ. მხოლოდ ორი განზომილება

8.2.3. თუ ინდექსატორი მითითებულია მინიჭების ოპერატორის მარცხნივ, მაშინ:
ა. არც ერთი მეთოდი არ გამოიძახება
ბ. გამოიძახება get მეთოდი
გ. გამოიძახება set მეთოდი

8.2.4. თუ ინდექსატორი მითითებულია მინიჭების ოპერატორის მარჯვნივ, მაშინ:
ა. გამოიძახება set მეთოდი
ბ. გამოიძახება get მეთოდი
გ. ორივე მეთოდი გამოიძახება

8.2.5. რომელი მსჯელობაა მცდარი:
ა. ინდექსატორში შეიძლება განსაზღვრული იყოს set და get მეთოდები
ბ. ინდექსატორში შეიძლება არ იყოს განსაზღვრული set და get მეთოდები
გ. ინდექსატორში შეიძლება განსაზღვრული იყოს set ან get მეთოდი

8.2.6. რომელი მსჯელობაა სწორი:
ა. ინდექსატორისათვის არ შეიძლება ref ან out მოდიფიკატორის გამოყენება
ბ. ინდექსატორისათვის შეიძლება ref ან out მოდიფიკატორის გამოყენება
გ. ინდექსატორისათვის შეიძლება მხოლოდ ref მოდიფიკატორის გამოყენება

ოპერატორების გადატვირთვა

8.3.1. ოპერატორის გადატვირთვა არის მოქმედებების ერთობლიობა:
ა. რომლებსაც ოპერატორი შეასრულებს ჩვენ მიერ შექმნილი კლასის მიმართ
ბ. როცა იცვლება ოპერატორის საწყისი დანიშნულება
გ. როცა ხდება კლასის გამოცხადება

8.3.2. ოპერატორის გადატვირთვისას მისი:
ა. გამოყენება ხდება მასივებში
ბ. საწყისი დანიშნულება იცვლება
გ. საწყისი დანიშნულება არ იცვლება

8.3.3. ოპერატორის გადატვირთვისას:
ა. მის არსენალს ახალი ფუნქციები არ ემატება
ბ. მის არსენალს ახალი ფუნქციები ემატება
გ. ხდება ინდექსატორის გამოცხადება

8.3.4. ოპერატორის გადატვირთვისათვის გამოიყენება:
ა. public სიტყვა
ბ. operator სიტყვა
გ. static სიტყვა

8.3.5. operator სიტყვა განსაზღვრავს:
ა. ოპერატორის მეთოდს
ბ. გადატვირთვად მეთოდს
გ. სტატიკურ მეთოდს

8.3.6. უნარულია ოპერატორი, რომელსაც აქვს:
ა. სამი ოპერანდი
ბ. ორი ოპერანდი
გ. ერთი ოპერანდი

8.3.7. ბინარულია ოპერატორი, რომელსაც აქვს:
ა. სამი ოპერანდი
ბ. ერთი ოპერანდი
გ. ორი ოპერანდი

8.3.8. უნარული ოპერატორის გადატვირთვისას:
ა. ოპერანდს უნდა ჰქონდეს მთელი ტიპი
ბ. ოპერანდი უნდა ეკუთვნოდეს იმ კლასის ტიპს, რომლისათვისაც განისაზღვრა ოპერატორი
გ. ოპერანდს უნდა ჰქონდეს ლოგიკური ტიპი

8.3.9. ბინარული ოპერატორების გადატვირთვისას:
ა. ერთ-ერთი ოპერანდის ტიპი უნდა ემთხვეოდეს იმ კლასის ტიპს, რომლისთვისაც ხდება ოპერატორის ხელახალი განსაზღვრა
ბ. ერთ-ერთი ოპერანდი უნდა იყოს მთელი ტიპის
გ. ერთ-ერთი ოპერანდი უნდა იყოს წილადი ტიპის

8.3.10. არ შეიძლება + ოპერატორის გადატვირთვა:
ა. არარსებული ტიპებისათვის
ბ. უკვე არსებული ტიპებისათვის
გ. ნებისმიერი ტიპისათვის

8.3.11. - ოპერატორის გადატვირთვისას მნიშვნელობა:
ა. აქვს მხოლოდ მთელი რიცხვების მიმდევრობას
ბ. არ აქვს ოპერანდების მიმდევრობას
გ. აქვს ოპერანდების მიმდევრობას

8.3.12. არაკომუტაციური ოპერატორების გადატვირთვისას:
ა. არ უნდა გავითვალისწინოთ ოპერანდების ურთიერთგანლაგება
ბ. უნდა გავითვალისწინოთ მხოლოდ მთელი რიცხვების ურთიერთგანლაგება
გ. უნდა გავითვალისწინოთ ოპერანდების ურთიერთგანლაგება

8.3.13. კომუტაციური ოპერატორების გადატვირთვისას:
ა. არ უნდა გავითვალისწინოთ ოპერანდების ურთიერთგანლაგება
ბ. უნდა გავითვალისწინოთ ოპერანდების ურთიერთგანლაგება
გ. უნდა გავითვალისწინოთ ლოგიკური მონაცემების ურთიერთგანლაგება

8.3.14. შედარების გადატვირთული ოპერატორები აბრუნებენ:
ა. true ან false მნიშვნელობას
ბ. true ან int ტიპის მნიშვნელობას
გ. false ან double ტიპის მნიშვნელობას

8.3.15. შედარების ოპერატორების გადატვირთვა:
ა. უნდა შესრულდეს წყვილობრივად
ბ. არ უნდა შესრულდეს წყვილობრივად
გ. უნდა შესრულდეს მხოლოდ მთელი რიცხვებისათვის

8.3.16. C# ენაში არსებობს ოპერატორების შემდეგი წყვილები:
ა. < და <=, > და >=, <= და >=
ბ. == და >=, <= და !=, < და >
გ. == და !=, > და <, <= და >=

8.3.17. ოპერატორების გადატვირთვისას:

ა. შეიძლება ოპერატორების პრიორიტეტების შეცვლა

ბ. შეუძლებელია ოპერატორების პრიორიტეტების შეცვლა

გ. შეიძლება ოპერატორების პრიორიტეტების შეცვლა მხოლოდ მთელი რიცხვებისათვის

8.3.18. ოპერატორების გადატვირთვისას:

ა. შეიძლება ოპერატორის ოპერანდების რაოდენობის შეცვლა

ბ. შეიძლება ოპერატორის ოპერანდების რაოდენობის შეცვლა მხოლოდ წილადებისათვის

გ. არ შეიძლება ოპერატორის ოპერანდების რაოდენობის შეცვლა

8.3.19. მინიჭების ოპერატორის გადატვირთვა:

ა. შეიძლება მხოლოდ მთელი რიცხვებისათვის

ბ. შეიძლება

გ. არ შეიძლება

8.3.20. რომელი ოპერატორების გადატვირთვა არ შეიძლება:

ა. + , <

ბ. && , ||

გ. * , >=

8.3.21. რომელი ოპერატორების გადატვირთვა შეიძლება:

ა. / , %

ბ. ? , =

გ. new , >

თავი 9. დელეგატები, მოვლენები, ინტერფეისები და სახელების სივრცე

დელეგატები

9.1.1. დელეგატი არის ობიექტი, რომელიც:
ა. მეთოდს მიმართავს
ბ. მეთოდს არ მიმართავს
გ. ობიექტს მიმართავს

9.1.2. რომელი მსჯელობაა სწორი:
ა. დელეგატი არის ობიექტი
ბ. დელეგატი არ არის ობიექტი
გ. დელეგატი არის მეთოდი

9.1.3. დელეგატების გამოყენებით შესასრულებელი მეთოდის არჩევა ხდება:
ა. სტატიკურად
ბ. დინამიკურად
გ. არადინამიკურად

9.1.4. დელეგატები უზრუნველყოფს:
ა. კლასებს
ბ. მასივებს
გ. მოვლენებს

9.1.5. რომელი მსჯელობაა სწორი:
ა. დელეგატი შეიცავს მეთოდის სიგნატურას
ბ. დელეგატი არ შეიცავს მეთოდის სიგნატურას
გ. დელეგატი შეიცავს მასივს

9.1.6. მეთოდის სიგნატურა არის:
ა. მეთოდის სახელი და პარამეტრების სია
ბ. მეთოდის მიერ დაბრუნებული მნიშვნელობის ტიპი
გ. მეთოდის სახელი, მის მიერ დაბრუნებული მნიშვნელობის ტიპი და პარამეტრების სია

9.1.7. რომელი მსჯელობაა სწორი:
ა. დელეგატი არ ინახავს მეთოდის მისამართს
ბ. დელეგატი ინახავს მეთოდის მისამართს
გ. დელეგატი ინახავს კლასის მისამართს

9.1.8. ერთი დელეგატი:
ა. შეგვიძლია გამოვიყენოთ რამდენიმე მეთოდის გამოძახებისათვის
ბ. არ შეგვიძლია გამოვიყენოთ რამდენიმე მეთოდის გამოძახებისათვის
გ. შეგვიძლია გამოვიყენოთ მხოლოდ ორი მეთოდის გამოძახებისათვის

9.1.9. ერთი დელეგატი:
ა. შეიძლება ინახავდეს რამდენიმე მეთოდის მისამართს

ბ. არ შეიძლება ინახავდეს რამდენიმე მეთოდის მისამართს
გ. შეიძლება ინახავდეს მხოლოდ ერთი მეთოდის მისამართს

9.1.10. დელეგატის გამოცხადებისათვის გამოიყენება:
ა. public სიტყვა
ბ. delegate სიტყვა
გ. abstract სიტყვა

9.1.11. დელეგატს შეუძლია გამოიძახოს მხოლოდ ის მეთოდი, რომლის:
ა. ტიპია int
ბ. სიგნატურა არ შეესაბამება დელეგატის სიგნატურას
გ. სიგნატურა შეესაბამება დელეგატის სიგნატურას

9.1.12. დელეგატის საშუალებით შეიძლება გამოვიძახოთ:
ა. მხოლოდ ობიექტის მეთოდი
ბ. ობიექტის მეთოდი ან კლასის სტატიკური მეთოდი
გ. მხოლოდ სტატიკური მეთოდი

დელეგატების მრავალმისამართიანობა

9.1.13. მისამართების მიმდევრობით ინიციალიზების გზით დელეგატს:
ა. შეუძლია ერთმანეთის მიყოლებით გამოიძახოს შესაბამისი მეთოდები
ბ. არ შეუძლია ერთმანეთის მიყოლებით გამოიძახოს შესაბამისი მეთოდები
გ. შეუძლია ერთდროულად გამოიძახოს ყველა მეთოდი

9.1.14. დელეგატის მრავალმისამართიანობა არის მისი თვისება:
ა. არ შეინახოს რამდენიმე მისამართი
ბ. შეინახოს რამდენიმე მისამართი
გ. შეინახოს მხოლოდ 1 მისამართი

9.1.15. მეთოდებზე მიმართვების მწკრივი არის:
ა. გამოსაძახებელი მეთოდების მისამართების მიმდევრობა
ბ. მხოლოდ სტატიკური მეთოდების მისამართების მიმდევრობა
გ. არაგამოსაძახებელი მეთოდების მისამართების მიმდევრობა

9.1.16. მეთოდებზე მიმართვების მწკრივისათვის მისამართის დასამატებლად გამოიყენება:
ა. -= ოპერატორი
ბ. += ოპერატორი
გ. + ოპერატორი

9.1.17. მეთოდებზე მიმართვების მწკრივიდან მისამართის წასაშლელად გამოიყენება:
ა. += ოპერატორი
ბ. -= ოპერატორი
გ. - ოპერატორი

9.1.18. დელეგატს, რომელიც რამდენიმე მიმართვას ინახავს, უნდა ჰქონდეს დასაბრუნებელი მნიშვნელობის ტიპი:
ა. double

ბ. int
გ. void

მოვლენები

9.2.1. რომელი მსჯელობაა სწორი:
ა. მოვლენა არის სტატიკური მეთოდის რეალიზება
ბ. მოვლენა არ არის ავტომატური უწყება რაიმე მომხდარ მოქმედებაზე
გ. მოვლენა არის ავტომატური უწყება რაიმე მომხდარ მოქმედებაზე

9.2.2. მოვლენის მაგალითებია:
ა. კლავიატურის კლავიშზე თითის დაჭერა
ბ. მასივის განულება
გ. ცვლადის ინიციალიზება

9.2.3. მოვლენის დამამუშავებელი იქმნება:
ა. მოვლენის საფუძველზე
ბ. დელეგატის საფუძველზე
გ. მასივის საფუძველზე

9.2.4. მოვლენის გამოცხადებისათვის გამოიყენება:
ა. delegate სიტყვა
ბ. event სიტყვა
გ. string სიტყვა

9.2.5. მოვლენის დამამუშავებელი აქტიურდება:
ა. დელეგატის საშუალებით
ბ. მოვლენის საშუალებით
გ. კლასის საშუალებით

9.2.6. რომელი მსჯელობაა სწორი:
ა. მოვლენა არ შეიძლება იყოს მრავალმისამართიანი
ბ. მოვლენა შეიძლება იყოს მრავალმისამართიანი
გ. მოვლენა შეიძლება იყოს მხოლოდ ერთმისამართიანი

9.2.7. მოვლენის დამამუშავებლისათვის უნდა მიეთითოს დასაბრუნებელი მნიშვნელობის ტიპი:
ა. bool
ბ. int
გ. void

ფართოსამაუწყებლო მოვლენა

9.2.8. ერთ მოვლენას შეიძლება ჰქონდეს:
ა. მხოლოდ 1 დამამუშავებელი
ბ. რამდენიმე დამამუშავებელი
გ. მხოლოდ 2 დამამუშავებელი

9.2.9. მოვლენას, რომლის დამამუშავებლების ნაწილი შეიძლება განსაზღვრული იყოს სხვადასხვა ობიექტებში, ეწოდება:
ა. ფართოსამაუწყებლო
ბ. სტატიკური
გ. ვირტუალური

9.2.10. ფართოსამაუწყებლო მოვლენა ბევრ ობიექტს საშუალებას:
ა. აძლევს რეაგირება არ მოახდინოს მოვლენის შესახებ უწყებაზე
ბ. არ აძლევს რეაგირება მოახდინოს მოვლენის შესახებ უწყებაზე
გ. აძლევს რეაგირება მოახდინოს მოვლენის შესახებ უწყებაზე

9.2.11. მოვლენის შესახებ უწყების მისაღებად წინასწარ:
ა. არ უნდა იყოს რეგისტრირებული ამ მოვლენის დამამუშავებელი თითოეული ობიექტისათვის
ბ. უნდა იყოს რეგისტრირებული ამ მოვლენის დამამუშავებელი ობიექტის გარეშე
გ. უნდა იყოს რეგისტრირებული ამ მოვლენის დამამუშავებელი თითოეული ობიექტისათვის

9.2.12. რადგან მოვლენის დამამუშავებელი ცალ-ცალკე რეგისტრირდება თითოეული ობიექტისათვის, ამიტომ:
ა. ყველა ობიექტი ერთდროულად იღებს უწყებას მომხდარი მოვლენის შესახებ
ბ. თითოეული ობიექტი ცალკე იღებს უწყებას მომხდარი მოვლენის შესახებ
გ. არც ერთი ობიექტი არ იღებს უწყებას მომხდარი მოვლენის შესახებ

ინტერფეისები

ინტერფეისების რეალიზება

9.3.1. ინტერფეისში შეიძლება განისაზღვროს:
ა. ინდექსატორები და მასივები
ბ. მეთოდები და სტრიქონები
გ. მეთოდები, თვისებები, ინდექსატორები და მოვლენები

9.3.2. კლასის ინტერფეისი ამ კლასის რეალიზაციისაგან შეიძლება:
ა. მთლიანად განვაცალკევოთ
ბ. ნაწილობრივ განვაცალკევოთ
გ. ვერ განვაცალკევოთ

9.3.3. ინტერფეისის რეალიზება:
ა. შეუძლებელია რამდენიმე კლასის საშუალებით
ბ. შესაძლებელია რამდენიმე კლასის საშუალებით
გ. შესაძლებელია მხოლოდ 1 კლასის საშუალებით

9.3.4. კლასი, რომელიც ახდენს ინტერფეისის რეალიზებას:
ა. არ შეიძლება შეიცავდეს დამატებით ელემენტებს
ბ. შეიძლება შეიცავდეს დამატებით ელემენტებს
გ. ნაწილობრივ შეიძლება შეიცავდეს დამატებით ელემენტებს

9.3.5. ინტერფეისში არ შეიძლება გამოვაცხადოთ:
ა. ველები (ცვლადები)
ბ. მეთოდები
გ. ინტერფეისები

9.3.6. ინტერფეისში მეთოდების გამოცხადება სრულდება:
ა. კლასის საშუალებით
ბ. მასივის საშუალებით
გ. მათი სიგნატურისა და დასაბრუნებელი მნიშვნელობის ტიპის მითითების გზით

9.3.7. ინტერფეისში გამოცხადებული მეთოდებისათვის იგულისხმება:
ა. protected მოდიფიკატორი
ბ. private მოდიფიკატორი
გ. public მოდიფიკატორი

9.3.8. ინტერფეისში არ შეიძლება გამოვაცხადოთ:
ა. ინდექსატორები
ბ. სტატიკური წევრები
გ. მოვლენები

9.3.9. ინტერფეისში არ შეიძლება გამოვაცხადოთ:
ა. თვისებები
ბ. მოვლენები
გ. კონსტრუქტორები

9.3.10. ინტერფეისში არ შეიძლება გამოვაცხადოთ:
ა. ინდექსატორები
ბ. დესტრუქტორები
გ. მოვლენები

9.3.11. კლასმა ინტერფეისის რეალიზება უნდა მოახდინოს:
ა. მთლიანად
ბ. ნაწილობრივ
გ. მიმდევრობით

9.3.12. ერთ კლასს შეუძლია:
ა. მხოლოდ ერთი ინტერფეისის რეალიზება
ბ. ერთზე მეტი ინტერფეისის რეალიზება
გ. მხოლოდ ორი ინტერფეისის რეალიზება

კლასების მემკვიდრეობითობა და ინტერფეისის რეალიზება

9.4.1. როდესაც კლასი ახდენს ერთზე მეტი ინტერფეისის რეალიზებას, მაშინ ინტერფეისების სახელები ერთმანეთისაგან:
ა. მძიმეებით უნდა გამოიყოს
ბ. წერტილებით უნდა გამოიყოს
გ. წერტილ-მძიმეებით უნდა გამოიყოს

9.4.2. კლასი შეიძლება იყოს საბაზო კლასის მემკვიდრე და:
ა. აუცილებლად უნდა ახდენდეს ერთი ინტერფეისის რეალიზებას
ბ. ახდენდეს ერთი ან მეტი ინტერფეისის რეალიზებას
გ. აუცილებლად უნდა ახდენდეს ორი ინტერფეისის რეალიზებას

9.4.3. მემკვიდრეობითობის შემთხვევაში ინტერფეისის რეალიზებისას:
ა. წინაპარი კლასის სახელი უნდა იყოს მესამე
ბ. წინაპარი კლასის სახელი უნდა იყოს მეორე
გ. წინაპარი კლასის სახელი უნდა იყოს პირველი

9.4.4.
public interface Interpeisi_A { ... }
public interface Interpeisi_B { ... }
public class ChemiKlasi { ... }
public class Manqana : ChemiKlasi, Interpeisi_A, Interpeisi_B { ... } კოდი:
ა. შეიცავს შეცდომას
ბ. არ შეიცავს შეცდომას
გ. შეიცავს შეცდომას და არ შეიცავს შეცდომას

9.4.5.
public interface Interpeisi_A { ... }
public interface Interpeisi_B { ... }
public class ChemiKlasi { ... }
public class Manqana : Interpeisi_A, ChemiKlasi, Interpeisi_B { ... } კოდი:
ა. შეიცავს შეცდომას
ბ. არ შეიცავს შეცდომას
გ. შეიცავს შეცდომას და არ შეიცავს შეცდომას

წარმოებული ინტერფეისები

9.5.1. კლასების მსგავსად, ინტერფეისები:
ა. შეიძლება იყოს წარმოებული (მიღებული) მემკვიდრეობით
ბ. არ შეიძლება იყოს წარმოებული (მიღებული) მემკვიდრეობით
გ. ხანდახან შეიძლება იყოს წარმოებული (მიღებული) მემკვიდრეობით

9.5.2. კლასებისაგან განსხვავებით, ინტერფეისი:
ა. არ შეიძლება მიღებული იყოს ერთზე მეტი ინტერფეისისაგან
ბ. შეიძლება მიღებული იყოს ერთზე მეტი ინტერფეისისაგან
გ. შეიძლება მიღებული იყოს მხოლოდ ერთი ინტერფეისისაგან

9.5.3.
public interface Interpeisi_A { ... }
public interface Interpeisi_B : Interfeisi_A { ... }
public class ChemiKlasi : Interfeisi_B { ... } კოდი:
ა. შეიცავს შეცდომას
ბ. არ შეიცავს შეცდომას
გ. შეიცავს შეცდომას და არ შეიცავს შეცდომას

9.5.4.
public interface Interpeisi_A { ... }
public interface Interpeisi_B { ... }
public interface Interfeisi_C : Interfeisi_A, Interfeisi_B { ... }
public class ChemiKlasi : Interfeisi_C { ... } კოდი:
ა. შეიცავს შეცდომას და არ შეიცავს შეცდომას
ბ. შეიცავს შეცდომას
გ. არ შეიცავს შეცდომას

ინტერფეისული მიმართვები

9.6.1. შეგვიძლია გამოვაცხადოთ მიმართვითი ცვლადი, რომელსაც:
ა. აქვს ინტერფეისული ტიპი
ბ. არ აქვს ინტერფეისული ტიპი
გ. ხანდახან აქვს ინტერფეისული ტიპი

9.6.2. ინტერფეისული მიმართვითი ცვლადი:
ა. არ შეგვიძლია შევქმნათ
ბ. შეგვიძლია შევქმნათ
გ. ხანდახან შეგვიძლია შევქმნათ

9.6.3. ინტერფეისული ცვლადი შეიძლება მიმართავდეს ნებისმიერ ობიექტს, რომელიც:
ა. ახდენს სხვა ინტერფეისის რეალიზებას
ბ. არ ახდენს მისი ინტერფეისის რეალიზებას
გ. ახდენს მისი ინტერფეისის რეალიზებას

9.6.4. ინტერფეისული მიმართვის საშუალებით ობიექტის მეთოდის გამოძახებისას:
ა. გამოიძახება ის მეთოდი, რომლის რეალიზებას მოცემული ობიექტი ახდენს
ბ. არ გამოიძახება ის მეთოდი, რომლის რეალიზებას მოცემული ობიექტი ახდენს
გ. გამოიძახება ის მეთოდი, რომლის რეალიზებას მოცემული ობიექტი არ ახდენს

9.6.5.
public interface ChemiInterpeisi { ... }
class Klasi1 : ChemiInterpeisi { ... }
class Klasi2 : ChemiInterpeisi { ... }
{
Klasi1 Samkutxedi = new Klasi1(gverdi1, gverdi2, gverdi3);
Klasi2 Otxkutxedi = new Klasi2(gverdi1, gverdi2);
ChemiInterpeisi obieqti;
obieqti = Samkutxedi;
obieqti = Otxkutxedi;
}
კოდში obieqti ობიექტი გამოცხადებულია როგორც:
ა. მიმართვა Samkutxedi ინტერფეისზე
ბ. მიმართვა ChemiInterpeisi ინტერფეისზე
გ. მიმართვა Otxkutxedi ინტერფეისზე

9.6.6.

```
public interface ChemiInterpeisi { ... }
class Klasi1 : ChemiInterpeisi { ... }
class Klasi2 : ChemiInterpeisi { ... }
{
Klasi1 Samkutxedi = new Klasi1(gverdi1, gverdi2, gverdi3);
Klasi2 Otxkutxedi = new Klasi2(gverdi1, gverdi2);
ChemiInterpeisi obieqti;
obieqti = Samkutxedi;
obieqti = Otxkutxedi;
}
```

რადგან obieqti ობიექტი გამოცხადებულია როგორც მიმართვა ChemiInterpeisi ინტერფეისზე, ამიტომ ის :

ა. შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ ობიექტზე მიმართვების შენახვის მიზნით, რომელიც არ ახდენს ChemiInterpeisi ინტერფეისის რეალიზებას

ბ. შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ ობიექტზე მიმართვების შენახვის მიზნით, რომელიც ახდენს ChemiInterpeisi ინტერფეისის რეალიზებას

გ. არ შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ ობიექტზე მიმართვების შენახვის მიზნით, რომელიც ახდენს ChemiInterpeisi ინტერფეისის რეალიზებას

9.6.7.

```
public interface ChemiInterpeisi { ... }
class Klasi1 : ChemiInterpeisi { ... }
class Klasi2 : ChemiInterpeisi { ... }
{
Klasi1 Samkutxedi = new Klasi1(gverdi1, gverdi2, gverdi3);
Klasi2 Otxkutxedi = new Klasi2(gverdi1, gverdi2);
ChemiInterpeisi obieqti;
obieqti = Samkutxedi;
obieqti = Otxkutxedi;
}
```

obieqti ინტერფეისულმა მიმართვამ იცის მხოლოდ იმ მეთოდების შესახებ, რომლებიც:

ა. გამოცხადებულია კლასში

ბ. არაა გამოცხადებული ინტერფეისში

გ. გამოცხადებულია ინტერფეისში

ინტერფეისის თვისებები

9.7.1. ინტერფეისში თვისების განსაზღვრისას:

ა. მიეთითება თვისების ტანი

ბ. არ მიეთითება თვისების ტანი

გ. მიეთითება ინდექსატორი

ცხადი რეალიზება

9.8.1. ცხადი რეალიზაციის დროს:

ა. ინტერფეისის ელემენტის წინ მიეთითება ინტერფეისის სახელი

ბ. ინტერფეისის ელემენტის წინ არ მიეთითება ინტერფეისის სახელი

გ. ინტერფეისის ელემენტის წინ მიეთითება კლასის სახელი

9.8.2. ცხადი რეალიზაციის გამოყენება საჭიროა მაშინ, როცა:
ა. პროგრამაში გამოცხადებულია ორი ინტერფეისი, რომლებიც არ შეიცავენ ერთნაირი სახელის მქონე მეთოდებს
ბ. პროგრამაში გამოცხადებულია ორი ინტერფეისი, რომლებიც შეიცავენ ერთნაირი სახელის მქონე მეთოდებს
გ. პროგრამაში გამოცხადებულია სამი ინტერფეისი, რომლებიც არ შეიცავენ ერთნაირი სახელის მქონე მეთოდებს

სახელების სივრცე

9.9.1. სახელების სივრცე კლასების სახელებს შორის კონფლიქტს:
ა. თავიდან გვაცილებს
ბ. თავიდან არ გვაცილებს
გ. იწვევს

9.9.2. სახელების სივრცეში სახელების ერთი ნაკრები:
ა. არ შეგვიძლია შევინახოთ სახელების სხვა ნაკრებებისაგან ცალკე
ბ. შეგვიძლია შევინახოთ სახელების სხვა ნაკრებებისაგან ცალკე
გ. შეგვიძლია შევინახოთ სახელების სხვა ნაკრებებთან ერთად

9.9.3. სახელების ერთ სივრცეში გამოცხადებული სახელები:
ა. არ არის კონფლიქტში სახელების სხვა სივრცეში გამოცხადებულ ასეთივე სახელებთან
ბ. არის კონფლიქტში სახელების სხვა სივრცეში გამოცხადებულ ასეთივე სახელებთან
გ. არ არის კონფლიქტში სახელების ამავე სივრცეში გამოცხადებულ ასეთივე სახელებთან

9.9.4. სახელების სივრცეში განსაზღვრული ყველა წევრი:
ა. ნაწილობრივ იმყოფება ამ სახელების სივრცის მხედველობის უბნის საზღვრებში
ბ. არ იმყოფება ამ სახელების სივრცის მხედველობის უბნის საზღვრებში
გ. იმყოფება ამ სახელების სივრცის მხედველობის უბნის საზღვრებში

9.9.5. სახელების სივრცეში შეიძლება განსაზღვრული იყოს:
ა. ჩამოთვლები და მასივები
ბ. კლასები და დელეგატები
გ. ინტერფეისები და ცვლადები

9.9.6. თუ ორი სახელების სივრცე შეიცავს ერთნაირი სახელის მქონე კლასს, მაშინ იმისათვის, რომ ეს ორი კლასი ერთმანეთისაგან განვასხვავოთ:
ა. საჭირო არ არის კლასის სახელის წინ სახელების სივრცის მითითება
ბ. საჭიროა კლასის სახელის წინ სახელების სივრცის მითითება
გ. საჭიროა მხოლოდ კლასის სახელის მითითება

using დირექტივა

9.10.7. სახელების სივრცე პროგრამაში ხილული ხდება:
ა. using დირექტივაში მისი მითითების შემდეგ

ბ. მასივში მისი გამოცხადების შემდეგ
გ. public მოდიფიკატორის მითითების შემდეგ

9.10.8. using დირექტივა მითითებული უნდა იყოს:
ა. პროგრამის შუაში
ბ. პროგრამის ბოლოში
გ. პროგრამის დასაწყისში

9.10.9. თუ პროგრამაში გამოცხადებულია ორი სახელების სივრცე, მაშინ:
ა. სახელების პირველი სივრცე არ მალავს სახელების მეორე სივრცეს
ბ. სახელების პირველი სივრცე მალავს სახელების მეორე სივრცეს
გ. სახელების მეორე სივრცე მალავს სახელების პირველი სივრცეს

9.10.10. სახელების სივრცის გამოცხადებისას იგი:
ა. თავის სახელებს არ უმატებს უკვე არსებულ სახელებს
ბ. თავის სახელებს უმატებს უკვე არსებულ სახელებს
გ. ფარავს უკვე არსებულ სახელებს

ჩადგმული სახელების სივრცე

9.11.11. სახელების ერთი სივრცე:
ა. შეიძლება ნაწილობრივ მოვათავსოთ სახელების მეორე სივრცის შიგნით
ბ. არ შეიძლება მოვათავსოთ სახელების მეორე სივრცის შიგნით
გ. შეიძლება მოვათავსოთ სახელების მეორე სივრცის შიგნით

9.11.12. სახელების სივრცის იერარქია:
ა. შეიძლება გადანაწილებული იყოს სხვადასხვა პროგრამაში
ბ. არ შეიძლება გადანაწილებული იყოს სხვადასხვა პროგრამაში
გ. ნაწილობრივ შეიძლება გადანაწილებული იყოს სხვადასხვა პროგრამაში

ავტომატურად განსაზღვრული სახელების სივრცე

9.12.13. თუ პროგრამაში არ არის გამოცხადებული სახელების სივრცე, მაშინ:
ა. არ გამოიყენება ავტომატურად განსაზღვრული სახელების სივრცე
ბ. გამოიყენება ავტომატურად განსაზღვრული სახელების სივრცე
გ. არც ერთი სახელების სივრცე არ გამოიყენება

9.12.14. ავტომატურად განსაზღვრული სახელების სივრცე:
ა. არასოდეს არ გამოიყენება
ბ. გამოიყენება დიდი და რთული პროგრამებისათვის
გ. გამოიყენება მოკლე და მარტივი პროგრამებისათვის

თავი 10. ინფორმაციის შეტანა-გამოტანა

შეტანა-გამოტანის ნაკადების კლასები

10.1.1. C#-პროგრამები მონაცემების შეტანა-გამოტანას ახდენს:
ა. ნაკადების საშუალებით
ბ. ინდექსატორების საშუალებით
გ. მოვლენების საშუალებით

10.1.2. მონაცემების ნაკადი არის:
ა. ფაილების მასივი
ბ. თვისებების მასივი
გ. მონაცემების მიმდევრობა

10.1.3. ნაკადი ფიზიკურ მოწყობილობას უკავშირდება:
ა. ვირტუალური მეთოდების გამოყენებით
ბ. სტატიკური მეთოდების გამოყენებით
გ. შეტანა-გამოტანის სისტემის საშუალებით

10.1.4. შეტანა-გამოტანის ოპერაციები ყველაზე დაბალ დონეზე ოპერირებენ:
ა. სტრიქონებთან
ბ. ბაიტებთან
გ. წილადებთან

10.1.5. შეტანა-გამოტანის ოპერაციები ყველაზე დაბალ დონეზე ბაიტებთან ოპერირებს, რადგან:
ა. შეტანა-გამოტანის მოწყობილობების უმრავლესობა არის ბაიტ-ორიენტირებული
ბ. შეტანა-გამოტანის მოწყობილობების უმრავლესობა არის სიმბოლოზე ორიენტირებული
გ. შეტანა-გამოტანის მოწყობილობების უმრავლესობა არის მთელ რიცხვებზე ორიენტირებული

10.1.6. ნაკადების კლასები განსაზღვრულია:
ა. System.Data კლასში
ბ. System.IO კლასში
გ. System.Drawing კლასში

10.1.7. რომელი მსჯელობაა არასწორი:
ა. არსებობს სიმბოლოების object ნაკრები
ბ. არსებობს სიმბოლოების ASCII ნაკრები
გ. არსებობს სიმბოლოების Unicode ნაკრები

10.1.8. ASCII სიმბოლოს ზომაა:
ა. 1 ბაიტი
ბ. 2 ბაიტი
გ. 4 ბაიტი

10.1.9. Unicode სიმბოლოს ზომაა:
ა. 1 ბაიტი

ბ. 2 ბაიტი
გ. 4 ბაიტი

ბაიტების ნაკადები

10.1.10. C# ენაში ნაკადები იქმნება:
ა. System.Net კლასის საშუალებით
ბ. System კლასის საშუალებით
გ. Stream კლასის საშუალებით

10.1.11. Stream კლასი არის:
ა. სტატიკური
ბ. ვირტუალური
გ. აბსტრაქტული

10.1.12. Stream კლასის Close() მეთოდი:
ა. ნაკადს ხურავს
ბ. ნაკადს ხსნის
გ. ნაკადს ცვლის

10.1.13. Stream კლასის Flush() მეთოდი:
ა. ნაკადს ფაილში წერს
ბ. ნაკადს ფაილიდან კითხულობს
გ. ნაკადს ხსნის

10.1.14. Stream კლასის ReadByte() მეთოდი:
ა. შესასვლელი ნაკადიდან კითხულობს 2 ბაიტს და გასცემს მის მთელრიცხვა მნიშვნელობას
ბ. შესასვლელი ნაკადიდან კითხულობს 1 ბაიტს და გასცემს მის მთელრიცხვა მნიშვნელობას
გ. შესასვლელი ნაკადიდან კითხულობს 1 ბაიტს და გასცემს მის ლოგიკურ მნიშვნელობას

10.1.15. Stream კლასის Read(byte[] ბუფერი, int პოზიცია, int ბაიტების_რაოდენობა) მეთოდი:
ა. შესასვლელ ნაკადში წერს მითითებული რაოდენობის ბაიტს და მათ ათავსებს ბუფერში დაწყებული მითითებული პოზიციიდან
ბ. შესასვლელ ნაკადში ცვლის მითითებული რაოდენობის ბაიტს
გ. შესასვლელი ნაკადიდან კითხულობს მითითებული რაოდენობის ბაიტს და მათ ათავსებს ბუფერში დაწყებული მითითებული პოზიციიდან

10.1.16. Stream კლასის Seek() მეთოდი:
ა. გასცემს ნაკადის პირველი ბაიტის პოზიციას
ბ. გასცემს ნაკადის მიმდინარე ბაიტის პოზიციას
გ. გასცემს ნაკადის უკანასკნელი ბაიტის პოზიციას

10.1.17. Stream კლასის WriteByte(byte ცვლადი) მეთოდი:
ა. გამოსასვლელ ნაკადში 1 ბაიტს წერს
ბ. გამოსასვლელ ნაკადში 2 ბაიტს წერს
გ. შესასვლელი ნაკადიდან 1 ბაიტს კითხულობს

10.1.18. Stream კლასის Write(byte[ ] ბუფერი, int პოზიცია, int ბაიტების_რაოდენობა) მეთოდი:
ა. გამოსასვლელ ნაკადში წერს მითითებული რაოდენობის ბაიტს დაწყებული მითითებული პოზიციიდან
ბ. გამოსასვლელ ნაკადში წერს მხოლოდ წილად რიცხვებს
გ. შესასვლელი ნაკადიდან კითხულობს მითითებული რაოდენობის ბაიტს

10.1.19. Stream კლასის CanRead თვისება იღებს:
ა. true მნიშვნელობას, თუ შეუძლებელია ნაკადიდან წაკითხვა
ბ. false მნიშვნელობას, თუ შესაძლებელია ნაკადიდან წაკითხვა
გ. true მნიშვნელობას, თუ შესაძლებელია ნაკადიდან წაკითხვა

10.1.20. Stream კლასის CanSeek თვისება იღებს:
ა. false მნიშვნელობას, თუ შესაძლებელია ნაკადის ელემენტის მიმდინარე პოზიციის განსაზღვრა
ბ. true მნიშვნელობას, თუ შესაძლებელია ნაკადის ელემენტის მიმდინარე პოზიციის განსაზღვრა
გ. true მნიშვნელობას, თუ შეუძლებელია ნაკადის ელემენტის მიმდინარე პოზიციის განსაზღვრა

10.1.21. Stream კლასის CanWrite თვისება იღებს:
ა. true მნიშვნელობას, თუ შესაძლებელია ნაკადში ჩაწერა
ბ. false მნიშვნელობას, თუ შესაძლებელია ნაკადში ჩაწერა
გ. true მნიშვნელობას, თუ შეუძლებელია ნაკადში ჩაწერა

10.1.22. Stream კლასის Length თვისება განსაზღვრავს:
ა. ნაკადის სიგრძეს
ბ. ნაკადის მიმდინარე ელემენტის პოზიციას
გ. ნაკადში შეიძლება თუ არა მონაცემების ჩაწერა

10.1.23. Stream კლასის Position თვისება განსაზღვრავს:
ა. ნაკადში შეიძლება თუ არა მონაცემების წაკითხვა
ბ. ნაკადის მიმდინარე ელემენტის პოზიციას
გ. ნაკადის სიგრძეს

10.1.24. Stream კლასის მემკვიდრე FileStream კლასი განკუთვნილია:
ა. ფაილში მონაცემების მხოლოდ წასაკითხად
ბ. ფაილში მონაცემების მხოლოდ ჩასაწერად
გ. ფაილში შეტანა-გამოტანის ოპერაციების შესასრულებლად

სიმბოლოების ნაკადები

10.1.25. სიმბოლოების ნაკადების კლასებია:
ა. FileStream
ბ. TextReader და TextWriter
გ. BufferedStream

10.1.26. ბაიტების ნაკადების კლასებია:
ა. TextWriter და TextReader
ბ. FileStream და MemoryStream
გ. BufferedStream და TextWriter

10.1.27. TextReader კლასის Close() მეთოდი:
ა. ცვლის შესასვლელ ნაკადს
ბ. ხსნის შესასვლელ ნაკადს
გ. ხურავს შესასვლელ ნაკადს

10.1.28. TextReader კლასის Peek() მეთოდი:
ა. კითხულობს შესასვლელი ნაკადის მომდევნო სიმბოლოს და არ შლის მას
ბ. კითხულობს შესასვლელი ნაკადის მომდევნო სიმბოლოს და შლის მას
გ. წერს შესასვლელ ნაკადში მომდევნო სიმბოლოს და არ შლის მას

10.1.29. TextReader კლასის Peek() მეთოდი:
ა. გასცემს -2-ს, თუ არ არის მომდევნო წასაკითხი სიმბოლო
ბ. გასცემს -1-ს, თუ არ არის მომდევნო წასაკითხი სიმბოლო
გ. გასცემს -1-ს, თუ არის მომდევნო წასაკითხი სიმბოლო

10.1.30. TextReader კლასის Read() მეთოდი:
ა. წერს შესასვლელი ნაკადის მომდევნო სიმბოლოს და გასცემს მის მთელრიცხვა წარმოდგენას
ბ. კითხულობს შესასვლელი ნაკადის მომდევნო სიმბოლოს და გასცემს მის მთელრიცხვა წარმოდგენას
გ. კითხულობს შესასვლელი ნაკადის მომდევნო სიმბოლოს და გასცემს მის წილად წარმოდგენას

10.1.31. TextReader კლასის Read(char[ ] ბუფერი, int პოზიცია,
int სიმბოლოების_რაოდენობა) მეთოდი:
ა. შესასვლელი ნაკადიდან კითხულობს 10 სიმბოლოს და ათავსებს მათ ბუფერში დაწყებული პირველი პოზიციიდან
ბ. შესასვლელ ნაკადში წერს მითითებული რაოდენობის სიმბოლოს და ათავსებს მათ ბუფერში დაწყებული მითითებული პოზიციიდან
გ. შესასვლელი ნაკადიდან კითხულობს მითითებული რაოდენობის სიმბოლოს და ათავსებს მათ ბუფერში დაწყებული მითითებული პოზიციიდან

10.1.32. TextReader კლასის ReadBlock(char[ ] ბუფერი, int პოზიცია,
int სიმბოლოების_რაოდენობა) მეთოდი:
ა. შესასვლელი ნაკადიდან კითხულობს 10 სიმბოლოს და ათავსებს მათ ბუფერში დაწყებული პირველი პოზიციიდან
ბ. შესასვლელ ნაკადში წერს მითითებული რაოდენობის სიმბოლოს და ათავსებს მათ ბუფერში დაწყებული მითითებული პოზიციიდან
გ. შესასვლელი ნაკადიდან კითხულობს მითითებული რაოდენობის სიმბოლოს და ათავსებს მათ ბუფერში დაწყებული მითითებული პოზიციიდან

10.1.33. TextReader კლასის ReadLine() მეთოდი:
ა. კითხულობს ტექსტის სტრიქონს და გასცემს მას C#-სტრიქონის სახით

ბ. წერს ტექსტის სტრიქონს და გასცემს მას C#-სტრიქონის სახით
გ. კითხულობს ტექსტის სტრიქონს და გასცემს მის მთელრიცხვა წარმოდგენას

10.1.34. TextReader კლასის ReadToEnd() მეთოდი:
ა. კითხულობს ნაკადის დარჩენილ სიმბოლოებს და გასცემს მათ C#-სტრიქონის სახით
ბ. წერს ნაკადის დარჩენილ სიმბოლოებს და გასცემს მათ C#-სტრიქონის სახით
გ. კითხულობს ნაკადის დარჩენილ სიმბოლოებს და გასცემს მათ წილადის სახით

10.1.35. TextWriter კლასის Write(int ცვლადი) მეთოდი ახდენს:
ა. int ტიპის მნიშვნელობის წაკითხვას
ბ. double ტიპის მნიშვნელობის ჩაწერას
გ. int ტიპის მნიშვნელობის ჩაწერას

10.1.36. TextWriter კლასის Write(double ცვლადი) მეთოდი ახდენს:
ა. int ტიპის მნიშვნელობის ჩაწერას
ბ. double ტიპის მნიშვნელობის ჩაწერას
გ. double ტიპის მნიშვნელობის წაკითხვას

10.1.37. TextWriter კლასის Write(bool ცვლადი) მეთოდი ახდენს:
ა. int ტიპის მნიშვნელობის ჩაწერას
ბ. bool ტიპის მნიშვნელობის ჩაწერას
გ. bool ტიპის მნიშვნელობის წაკითხვას

10.1.38. TextWriter კლასის WriteLine(string ცვლადი) მეთოდი ახდენს:
ა. სტრიქონის ჩაწერას, რომელიც არ მთავრდება მომდევნო სტრიქონზე გადასვლის სიმბოლოთი
ბ. სტრიქონის ჩაწერას, რომელიც მთავრდება მომდევნო სტრიქონზე გადასვლის სიმბოლოთი
გ. სტრიქონის წაკითხვას, რომელიც მთავრდება მომდევნო სტრიქონზე გადასვლის სიმბოლოთი

10.1.39. TextWriter კლასის WriteLine(uint ცვლადი) მეთოდი ახდენს:
ა. uint ტიპის მნიშვნელობისა და მომდევნო სტრიქონზე გადასვლის სიმბოლოს ჩაწერას
ბ. uint ტიპის მნიშვნელობისა და მომდევნო სტრიქონზე გადასვლის სიმბოლოს წაკითხვას
გ. uint ტიპის მნიშვნელობის ჩაწერას

10.1.40. TextWriter კლასის WriteLine(char ცვლადი) მეთოდი ახდენს:
ა. სტრიქონის ჩაწერას, რომელსაც მოსდევს მომდევნო სტრიქონზე გადასვლის სიმბოლო
ბ. სიმბოლოს წაკითხვას, რომელსაც მოსდევს მომდევნო სტრიქონზე გადასვლის სიმბოლო
გ. სიმბოლოს ჩაწერას, რომელსაც მოსდევს მომდევნო სტრიქონზე გადასვლის სიმბოლო

10.1.41. TextWriter კლასის Close() მეთოდი:
ა. ცვლის ნაკადს
ბ. ხსნის ნაკადს
გ. ხურავს ნაკადს

10.1.42. TextWriter კლასის Flush() მეთოდი ახდენს:
ა. ბუფერში დარჩენილი მონაცემების ჩაწერას გამოსასვლელ ნაკადში

ბ. ბუფერში დარჩენილი მონაცემების წაკითხვას გამოსასვლელ ნაკადში
გ. ნაკადის დახურვას

ორობითი ნაკადები

10.1.43. ორობითი ნაკადების კლასებია:
ა. FileStream
ბ. BinaryReader და BinaryWriter
გ. TextReader და TextWriter

FileStream კლასი

ფაილის გახსნა და დახურვა

10.2.1. FileStream კლასი გამოიყენება:
ა. ფაილებში ბაიტების ჩაწერა-წაკითხვის ოპერაციების შესასრულებლად
ბ. ფაილებში სიმბოლოების ჩაწერა-წაკითხვის ოპერაციების შესასრულებლად
გ. ფაილში მხოლოდ სიმბოლოების ჩასაწერად

10.2.2. ფაილთან დაკავშირებული ბაიტების ნაკადის შესაქმნელად საჭიროა:
ა. MemoryStream ობიექტის ფორმირება
ბ. Object ობიექტის ფორმირება
გ. FileStream ობიექტის ფორმირება

10.2.3. FileMode რეჟიმი განსაზღვრავს:
ა. ფაილში ჩაწერის რეჟიმს
ბ. ფაილის გახსნის რეჟიმს
გ. ფაილიდან წაკითხვის რეჟიმს

10.2.4. FileMode რეჟიმის Append მნიშვნელობა მიუთითებს, რომ ხდება:
ა. მონაცემების წაკითხვა
ბ. გამოსასვლელი მონაცემების დამატება ფაილის ბოლოში
გ. მონაცემების ჩაწერა ფაილის დასაწყისში

10.2.5. FileMode რეჟიმის Create მნიშვნელობა მიუთითებს, რომ:
ა. იქმნება ახალი გამოსასვლელი ფაილი და ამავე სახელის მქონე არსებული ფაილი იშლება
ბ. იქმნება ახალი გამოსასვლელი ფაილი და ამავე სახელის მქონე არსებული ფაილი არ იშლება
გ. იხსნება არსებული ფაილი

10.2.6. FileMode რეჟიმის CreateNew მნიშვნელობა მიუთითებს, რომ:
ა. იქმნება ახალი გამოსასვლელი ფაილი
ბ. იშლება არსებული ფაილი
გ. იხსნება არსებული ფაილი

10.2.7. FileMode რეჟიმის Open მნიშვნელობა მიუთითებს, რომ:
ა. იხურება არსებული ფაილი

ბ. იშლება არსებული ფაილი
გ. იხსნება არსებული ფაილი

10.2.8. FileMode რეჟიმის OpenCreate მნიშვნელობა მიუთითებს, რომ:
ა. თუ ფაილი არსებობს, მაშინ ის გაიხსნება, თუ არ არსებობს, მაშინ ის შეიქმნება
ბ. თუ ფაილი არსებობს, მაშინ ის წაიშლება
გ. თუ ფაილი არსებობს, მაშინ ის შეიქმნება

10.2.9. FileMode რეჟიმის Truncate მნიშვნელობა მიუთითებს, რომ:
ა. იხსნება არსებული ფაილი, მაგრამ მისი სიგრძე არ ჩამოიჭრება ნულამდე
ბ. იქმნება ახალი ფაილი
გ. იხსნება არსებული ფაილი, მაგრამ მისი სიგრძე ჩამოიჭრება ნულამდე

10.2.10. FileStraem file_in = new FileStream("filetest.dat", FileMode.Open);
ოპერატორის შესრულების შედეგად:
ა. წაიშლება filetest.dat ფაილი
ბ. გაიხსნება filetest.dat ფაილი
გ. შეიცვლება filetest.dat ფაილი

10.2.11. FileAccess მიმართვის სახე იღებს მნიშვნელობას:
ა. Read, Write და ReadWrite
ბ. Read, Open
გ. Close, Open და Write

10.2.12. FileStraem file_in = new FileStream("filetest.dat", FileMode.Open,
FileAccess.Read); ოპერატორის შესრულების შედეგად:
ა. filetest.dat ფაილი გაიხსნება ჩაწერის რეჟიმში
ბ. filetest.dat ფაილი გაიხსნება დამატების რეჟიმში
გ. filetest.dat ფაილი გაიხსნება წაკითხვის რეჟიმში

ფაილიდან ბაიტების წაკითხვა

10.2.13. FileStraem კლასის ReadByte() მეთოდი:
ა. ფაილში წერს ერთ ბაიტს და გასცემს მის მთელრიცხვა მნიშვნელობას
ბ. ფაილიდან კითხულობს ერთ ბაიტს და გასცემს მის მთელრიცხვა მნიშვნელობას
გ. ფაილიდან კითხულობს ერთ ბაიტს და არ გასცემს მის მთელრიცხვა მნიშვნელობას

10.2.14. FileStraem კლასის Read(byte[ ] ბუფერი, int პოზიცია,
int ბაიტების_რაოდენობა) მეთოდი:
ა. ფაილიდან კითხულობს მითითებული რაოდენობის ბაიტს და ათავსებს მათ ბუფერში
ბ. ფაილში წერს მითითებული რაოდენობის ბაიტს და ათავსებს მათ ბუფერში
გ. ფაილიდან კითხულობს მითითებული რაოდენობის ბაიტს და არ ათავსებს მათ ბუფერში

10.2.15. FileStraem კლასის ReadByte() მეთოდი ფაილის დასასრულის სიმბოლოს წაკითხვის შემთხვევაში გასცემს:
ა. -1

ბ. 0
გ. 1

10.2.16. FileStraem კლასის Read(byte[ ] ბუფერი, int პოზიცია,
ბ. შეუძლია ავტონომურ (ოფლაინ) რეჟიმში, ანუ რეჟიმში, როცა მონაცემთა ბაზასთან შეერთება დახურულია

გ. შეუძლია მხოლოდ ონლაინ რეჟიმში

17.10.17. DataSet კლასის ობიექტი გამოიყენება მონაცემთა ბაზაში მოთავსებული მონაცემების:

ა. ლოკალური ასლების შესანახად სერვერზე

ბ. ლოკალური ასლების შესანახად კლიენტის კომპიუტერზე

გ. გლობალური ასლების შესანახად კლიენტის კომპიუტერზე

17.10.18. DataSet კლასის ობიექტებია:

ა. ცხრილები, წარმოდგენები, შენახული პროცედურები და ინდექსები

ბ. ცხრილები, ცხრილებს შორის კავშირები (ბმები), წარმოდგენები, შენახული პროცედურები და ფუნქციები

გ. წარმოდგენები, შენახული პროცედურები და ტრიგერები

17.10.19. DataSet კლასის ობიექტებთან მათთან მუშაობა:

ა. არ სრულდება ავტონომურ რეჟიმში

ბ. სრულდება ავტონომურ რეჟიმში

გ. სრულდება ონლაინ რეჟიმში

17.10.20. DataSet ობიექტები:

ა. არ შეიძლება გამოვიყენოთ მონაცემების წარმოსადგენად XML ფაილებიდან

ბ. შეიძლება გამოვიყენოთ მონაცემების წარმოსადგენად XML ფაილებიდან

გ. ხან შეიძლება და ხან არ შეიძლება გამოვიყენოთ მონაცემების წარმოსადგენად XML ფაილებიდან

17.10.21. DataTable კლასის ობიექტი:

ა. არ გამოიყენება ერთი ცხრილის შესანახად

ბ. გამოიყენება ერთი ცხრილის შესანახად

გ. გამოიყენება ორი ცხრილის შესანახად

17.10.22. ერთ DataSet ობიექტში:

ა. არ შეიძლება რამდენიმე DataTable ობიექტის ანუ რამდენიმე ცხრილის მოთავსება

ბ. შეიძლება რამდენიმე DataTable ობიექტის ანუ რამდენიმე ცხრილის მოთავსება

გ. შეიძლება მხოლოდ ერთი DataTable ობიექტის

17.10.23. DataRow კლასის ობიექტი:

ა. არ გამოიყენება ცხრილის ერთი სტრიქონის შესანახად

ბ. გამოიყენება ცხრილის ერთი სტრიქონის შესანახად

გ. გამოიყენება ცხრილის ორი სტრიქონის შესანახად

17.10.24. ერთ DataTable ობიექტში:

ა. არ შეიძლება რამდენიმე DataRow ობიექტის ანუ რამდენიმე სტრიქონის მოთავსება

ბ. შეიძლება რამდენიმე DataRow ობიექტის ანუ რამდენიმე სტრიქონის მოთავსება

გ. შეიძლება მხოლოდ ერთი DataRow ობიექტის

17.10.25. DataColumn კლასის ობიექტი:

ა. არ გამოიყენება ერთი სვეტის შესანახად

ბ. გამოიყენება ერთი სვეტის შესანახად

გ. გამოიყენება ორი სვეტის შესანახად

17.10.26. ერთ DataRow ობიექტში:

ა. არ შეიძლება რამდენიმე DataColumn ობიექტის ანუ რამდენიმე სვეტის მოთავსება

ბ. შეიძლება რამდენიმე DataColumn ობიექტის ანუ რამდენიმე სვეტის მოთავსება

გ. შეიძლება მხოლოდ ერთი DataColumn ობიექტის მოთავსება

17.10.27. DataRelation კლასის ობიექტი გამოიყენება:

ა. სამ DataTable ობიექტს ანუ სამ ცხრილს შორის კავშირის დასამყარებლად

ბ. ორ DataTable ობიექტს ანუ ორ ცხრილს შორის კავშირის დასამყარებლად

გ. ერთ DataTable ობიექტს ანუ ერთ ცხრილს შორის კავშირის დასამყარებლად

17.10.28. DataRelation ობიექტები შეგვიძლია გამოვიყენოთ მონაცემთა ბაზაში:

ა. სამ ცხრილს შორის "მთავარი-დამოკიდებული" კავშირის შესაქმნელად

ბ. ორ ცხრილს შორის "მთავარი-დამოკიდებული" კავშირის შესაქმნელად

გ. ერთ ცხრილს შორის "მთავარი-დამოკიდებული" კავშირის შესაქმნელად

17.10.29. ერთ DataSet ობიექტში:

ა. არ შეიძლება რამდენიმე DataRelation ობიექტის მოთავსება

ბ. შეიძლება რამდენიმე DataRelation ობიექტის მოთავსება

გ. შეიძლება მხოლოდ ერთი DataRelation ობიექტის მოთავსება

17.10.30. Constraint კლასის ობიექტი გამოიყენება ცხრილის შეზღუდვების შესანახად, როგორიცაა:

ა. სვეტის მნიშვნელობის შეზღუდვა მხოლოდ უნიკალურობაზე

ბ. სვეტის მნიშვნელობის შეზღუდვა უნიკალურობაზე ან გარე გასაღების შეზღუდვა, რომელიც სხვა ცხრილს მიმართავს

გ. მხოლოდ გარე გასაღების შეზღუდვა, რომელიც სხვა ცხრილს მიმართავს

17.10.31. Constraint კლასის ობიექტი:

ა. არ გამოიყენება ცხრილის შეზღუდვების შესანახად

ბ. გამოიყენება ცხრილის შეზღუდვების შესანახად

გ. გამოიყენება ცხრილებს შორის კავშირების შესანახად

17.10.32. ერთ DataTable ობიექტში:

ა. არ შეიძლება რამდენიმე Constraint ობიექტი მოვათავსოთ

ბ. შეიძლება რამდენიმე Constraint ობიექტი მოვათავსოთ

გ. შეიძლება მხოლოდ ერთი Constraint ობიექტი მოვათავსოთ

17.10.33. DataView კლასის ობიექტი:

ა. არ გამოიყენება DataTable ობიექტში მოთავსებული ცხრილის გაფილტვრისა და დახარისხებისათვის

ბ. გამოიყენება DataTable ობიექტში მოთავსებული ცხრილის გაფილტვრისა და დახარისხებისათვის

გ. გამოიყენება DataTable ობიექტში მოთავსებული ცხრილის მხოლოდ გაფილტვრისათვის

17.10.34. ერთი DataSet ობიექტი:

ა. არ შეიძლება რამდენიმე DataView ობიექტს შეიცავდეს

ბ. შეიძლება რამდენიმე DataView ობიექტს შეიცავდეს

გ. მხოლოდ ერთ DataView ობიექტს უნდა შეიცავდეს

17.10.35. DataSet, DataTable, DataRow, DataColumn, DataRelation, Constraint და DataView კლასები განსაზღვრულია:

ა. System.Linq სახელების სივრცეში

ბ. System.Data სახელების სივრცეში

გ. System.Collections.Generic სახელების სივრცეში

17.10.36. SqlConnection კლასის ობიექტი:

ა. არ გამოიყენება SQL სერვერზე მონაცემთა ბაზასთან შეერთების დასამყარებლად

ბ. გამოიყენება SQL სერვერზე მონაცემთა ბაზასთან შეერთების დასამყარებლად

გ. გამოიყენება SQL სერვერზე მონაცემთა ბაზასთან შეერთების გასაუქმებლად

17.10.37. OleDbConnection კლასის ობიექტი გამოიყენება იმ მონაცემთა ბაზის მართვის სისტემასთან მისაერთებლად, რომელიც:

ა. ODBC ტექნოლოგიას უზრუნველყოფს

ბ. OLEDB ტექნოლოგიას უზრუნველყოფს

გ. OLEDB ტექნოლოგიას არ უზრუნველყოფს

17.10.38. OLEDB ტექნოლოგიას:

ა. უზრუნველყოფს მხოლოდ Access

ბ. უზრუნველყოფს Oracle და Access

გ. არ უზრუნველყოფს Oracle და Access

17.10.39. OdbcConnection კლასის ობიექტი გამოიყენება იმ მონაცემთა ბაზის მართვის სისტემასთან მისაერთებლად, რომელიც:

ა. ODBC ტექნოლოგიას არ უზრუნველყოფს

ბ. ODBC ტექნოლოგიას უზრუნველყოფს
გ. OLEDB ტექნოლოგიას უზრუნველყოფს

17.10.40. ყველა ძირითადი მონაცემთა ბაზა უზრუნველყოფს ODBC ტექნოლოგიას, მაგრამ მისი საშუალებით მონაცემთა ბაზასთან მიმართვა .NET სისტემაში:
ა. სწრაფად სრულდება
ბ. ნელა სრულდება
გ. არ სრულდება

17.10.41. SqlCommand, OleDbCommand, OdbcCommand კლასების ობიექტები:
ა. არ გამოიყენება SQL მოთხოვნის ფორმირებისათვის ან შენახული პროცედურის გამოძახებისათვის
ბ. გამოიყენება SQL მოთხოვნის ფორმირებისათვის ან შენახული პროცედურის გამოძახებისათვის
გ. შენახული პროცედურის წასაშლელად

17.10.42. SqlDataReader, OleDbDataReader, OdbcDataReader კლასების ობიექტები გამოიყენება ინფორმაციის წასაკითხად მონაცემთა ბაზიდან, რომელიც:
ა. არაა მოთავსებული SQL სერვერზე
ბ. მოთავსებულია SQL სერვერზე, ან მუშაობს იმ მონაცემთა ბაზის მართვის სისტემის ქვეშ, რომელიც უზრუნველყოფს OLEDB ან ODBC ტექნოლოგიას
გ. არ მუშაობს იმ მონაცემთა ბაზის მართვის სისტემის ქვეშ, რომელიც უზრუნველყოფს OLEDB ან ODBC ტექნოლოგიას

17.10.43. SqlDataReader, OleDbDataReader, OdbcDataReader კლასების ობიექტები გამოიყენება მონაცემების:
ა. მხოლოდ ჩასაწერად მონაცემების წყაროდან და წარმოადგენს DataSet ობიექტის ალტერნატივას
ბ. მხოლოდ წასაკითხად მონაცემების წყაროდან და წარმოადგენს DataSet ობიექტის ალტერნატივას
გ. მხოლოდ წასაკითხად მონაცემების წყაროდან და არ წარმოადგენს DataSet ობიექტის ალტერნატივას

17.10.44. SqlDataReader, OleDbDataReader, OdbcDataReader კლასების ობიექტებით მონაცემების წაკითხვა უფრო:
ა. ნელა სრულდება, ვიდრე DataSet ობიექტის გამოყენებით
ბ. სწრაფად სრულდება, ვიდრე DataSet ობიექტის გამოყენებით
გ. სწრაფად არ სრულდება, ვიდრე DataSet ობიექტის გამოყენებით

17.10.45. SqlDataAdapter, OleDbDataAdapter, OdbcDataAdapter კლასების ობიექტები გამოიყენება სტრიქონების გადასაადგილებლად DataSet ობიექტსა და მონაცემთა ბაზას შორის, რომელიც:
ა. მოთავსებულია SQL სერვერზე, ან მუშაობს იმ მონაცემთა ბაზის მართვის სისტემის ქვეშ, რომელიც უზრუნველყოფს OLEDB ან ODBC ტექნოლოგიას
ბ. არაა მოთავსებული SQL სერვერზე
გ. არ მუშაობს იმ მონაცემთა ბაზის მართვის სისტემის ქვეშ, რომელიც უზრუნველყოფს OLEDB ან ODBC ტექნოლოგიას

17.10.46. მართვადი კლასები SQL სერვერისათვის გამოცხადებულია:
ა. System.Data.SqlClient სახელების სივრცეში
ბ. System.Data.Linq სახელების სივრცეში
გ. System.Data სახელების სივრცეში

17.10.47. კლასები მონაცემთა ბაზებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფს ODBC ტექნოლოგიას, გამოცხადებულია:
ა. System.Data.Odbc სახელების სივრცეში
ბ. System.Data.Linq სახელების სივრცეში
გ. System.Data.Data სახელების სივრცეში

17.10.48. C# პროგრამაში ADO.NET კლასების გამოყენებამდე using დირექტივების ბლოკში უნდა მოვათავსოთ დირექტივა:
ა. using System.Data
ბ. using System.ComponentModel
გ. using System.Linq

17.10.49. ADO.NET კლასები მოთავსებულია:
ა. using System.Data სახელების სივრცეში
ბ. using System.Linq სახელების სივრცეში
გ. using System.ComponentModel სახელების სივრცეში

17.10.50. თუ ვმუშაობთ SQL სერვერზე მოთავსებულ მონაცემთა ბაზასთან, მაშინ using დირექტივების ბლოკში უნდა მოვათავსოთ დირექტივა:
ა. using System.Data.SqlClient
ბ. using System.Data.Odbc
გ. using System.Data.OleDB

17.10.51. თუ ვიყენებთ SQL სერვერისა და Oracle-საგან განსხვავებული მონაცემთა ბაზას, მაგალითად Access, მაშინ using დირექტივების ბლოკში უნდა მოვათავსოთ დირექტივა:
ა. using System.Data.OleDB
ბ. using System.Data.SqlClient
გ. using System.Data.Odbc

17.10.52. თუ ვიყენებთ მონაცემთა წყაროებს, რომლებისთვისაც არ არსებობს „მშობლიური“ OLE DB მომწოდებელი, მაშინ using დირექტივების ბლოკში უნდა მოვათავსოთ დირექტივა:
ა. using System.Data.Odbc
ბ. using System.Data.OleDB
გ. using System.Data.SqlClient

მოთხოვნების შესრულება ADO.NET კლასების გამოყენებით

მონაცემების წაკითხვა DataReader ობიექტის საშუალებით

17.11.1. DataReader ობიექტი SELECT ბრძანებაში (მოთხოვნაში) მითითებული ცხრილიდან:
ა. თითო სტრიქონს კითხულობს

ბ. თითო სტრიქონს არ კითხულობს
გ. ორ-ორ სტრიქონს კითხულობს

17.11.2. DataReader ობიექტი:
ა. UPDATE ბრძანებაში (მოთხოვნაში) მითითებული ცხრილიდან თითო სტრიქონს კითხულობს
ბ. SELECT ბრძანებაში (მოთხოვნაში) მითითებული ცხრილიდან თითო სტრიქონს კითხულობს
გ. INSERT ბრძანებაში (მოთხოვნაში) მითითებული ცხრილიდან თითო სტრიქონს კითხულობს

17.11.3. DataReader ობიექტი SELECT ბრძანებაში (მოთხოვნაში) მითითებული ცხრილიდან თითო სტრიქონს კითხულობს. წაკითხვის პროცესი შემდეგი მოქმედებებისაგან შედგება:
ა. 1. შეერთების ობიექტის შექმნა; 2. SELECT ბრძანების ფორმირება; 3. SqlDataReader ტიპის ობიექტის საშუალებით მონაცემების წაკითხვა და ეკრანზე მათი გამოტანა; 4. DataReader-ის დახურვა
ბ. 1. შეერთების ობიექტის შექმნა; 2. შეერთების გახსნა; 3. SELECT ბრძანების ფორმირება; 4. SqlDataReader ტიპის ობიექტის საშუალებით მონაცემების წაკითხვა და ეკრანზე მათი გამოტანა; 5. DataReader-სა და შეერთების დახურვა
გ. 1. შეერთების ობიექტის შექმნა; 2. SqlDataReader ტიპის ობიექტის საშუალებით მონაცემების წაკითხვა და ეკრანზე მათი გამოტანა; 3. შეერთების დახურვა

17.11.4. მონაცემთა წყაროსთან შეერთების ობიექტი შემდეგნაირად იქმნება:
ა. SqlConnection myConnection =
new SqlConnection("database=Shekveta; uid=sa; pwd=paroli");
ბ. SqlConnection myConnection =
new SqlConnection("server=ROMANI-PC; database=Shekveta; uid=sa; pwd=paroli");
გ. SqlConnection myConnection =
new SqlConnection("server=ROMANI-PC; uid=sa; pwd=paroli");

17.11.5. შეერთების სტრიქონი შემდეგ პარამეტრებს შეიცავს:
ა. მონაცემთა ბაზის სახელი, მომხმარებლის სახელი, პაროლი
ბ. სერვერის სახელი, მონაცემთა ბაზის სახელი, მომხმარებლის სახელი, პაროლი
გ. მონაცემთა ბაზის სახელი, მომხმარებლის სახელი, პაროლი

17.11.6. სერვერის სახელი მიეთითება შეერთების სტრიქონის:
ა. uid პარამეტრში
ბ. database პარამეტრში
გ. server პარამეტრში

17.11.7. თუ SQL სერვერი ქსელურ კომპიუტერზეა მოთავსებული, მაშინ:
ა. უნდა მივუთითოთ ფაილის სახელი
ბ. არ უნდა მივუთითოთ კომპიუტერის სახელი
გ. უნდა მივუთითოთ კომპიუტერის სახელი

17.11.8. თუ სერვერი ჩვენს (ლოკალურ) კომპიუტერზე მუშაობს, მაშინ:
ა. აუცილებლად უნდა მივუთითოთ localhost სიტყვა

ბ. არ შეგვიძლია მივუთითოთ როგორც კომპიუტერის სახელი, ისე localhost სიტყვა
გ. შეგვიძლია მივუთითოთ როგორც კომპიუტერის სახელი, ისე localhost სიტყვა

17.11.9. მონაცემთა ბაზის სახელი მიეთითება შეერთების სტრიქონის:
ა. uid პარამეტრში
ბ. server პარამეტრში
გ. database პარამეტრში

17.11.10. მომხმარებლის სახელი მიეთითება შეერთების სტრიქონის:
ა. server პარამეტრში
ბ. database პარამეტრში
გ. uid პარამეტრში

17.11.11. პაროლი მიეთითება შეერთების სტრიქონის:
ა. database პარამეტრში
ბ. uid პარამეტრში
გ. pwd პარამეტრში

17.11.12. შეერთების გასახსნელად უნდა შევასრულოთ:
ა. myReader.Close(); მეთოდი
ბ. myConnection.Close(); მეთოდი
გ. myConnection.Open(); მეთოდი

17.11.13. myCommand.CommandText = "SELECT gvari, ganyofileba, asaki, tarigi_dabadebis FROM Personali"; ამ SELECT ბრძანების შესრულების შედეგად მიღებულ სტრიქონში მოთავსებული იქნება მხოლოდ:
ა. asaki და tarigi_dabadebis სვეტები
ბ. gvari და ganyofileba სვეტები
გ. მითითებული სვეტები

17.11.14. myCommand.CommandText = "SELECT gvari, ganyofileba, asaki, tarigi_dabadebis FROM Personali"; ამ SELECT ბრძანების შესრულების შედეგად მიღებულ სტრიქონში მოთავსებული რომ იყოს ყველა სვეტი, SELECT სიტყვის შემდეგ სვეტების სახელების ნაცვლად უნდა მივუთითოთ:
ა. +
ბ. !
გ. *

17.11.15. ExecuteReader() მეთოდი ეკუთვნის:
ა. SqlDataReader ობიექტს
ბ. SqlConnection ობიექტს
გ. SqlCommand ობიექტს

17.11.16. ExecuteReader() მეთოდი ასრულებს:
ა. UPDATE ბრძანებას და ქმნის ობიექტ-წამკითხველს გენერირებული შედეგების წაკითხვისათვის
ბ. SELECT ბრძანებას და არ ქმნის ობიექტ-წამკითხველს გენერირებული შედეგების

წაკითხვისათვის

გ. SELECT ბრძანებას და ქმნის ობიექტ-წამკითხველს გენერირებული შედეგების წაკითხვისათვის

17.11.17. ობიექტი-წამკითხველი:

ა. უნდა მივანიჭოთ SELECT ობიექტს

ბ. არ უნდა მივანიჭოთ SqlDataReader ობიექტს

გ. უნდა მივანიჭოთ SqlDataReader ობიექტს

17.11.18. ობიექტი-წამკითხველიდან შედეგების მიღების ერთ-ერთი გზაა:

ა. SqlDataWriter ობიექტის Read() მეთოდის გამოყენება

ბ. SqlDataReader ობიექტის Write() მეთოდის გამოყენება

გ. SqlDataReader ობიექტის Read() მეთოდის გამოყენება

17.11.19. SqlDataReader ობიექტის Read() მეთოდი კითხულობს ერთ სტრიქონს, რომელიც მიღებული იყო SELECT ბრძანების შესრულების შედეგად და:

ა. გასცემს true-ს, თუ არ არის წასაკითხი სტრიქონები, წინააღმდეგ შემთხვევაში – false-ს

ბ. გასცემს false-ს, თუ კიდევ არის წასაკითხი სტრიქონები, წინააღმდეგ შემთხვევაში –true-ს

გ. გასცემს true-ს, თუ კიდევ არის წასაკითხი სტრიქონები, წინააღმდეგ შემთხვევაში –false-ს

17.11.20. DataReader-ის დასახურად უნდა შევასრულოთ:

ა. myReader.Open(); მეთოდი

ბ. Fill() მეთოდი

გ. myReader.Close(); მეთოდი

17.11.21. შეერთების დასახურად უნდა შევასრულოთ:

ა. Fill() მეთოდი

ბ. myReader.Close(); მეთოდი

გ. myConnection.Close(); მეთოდი

17.11.22. string connectionstring = "server=Computer; database=Shekveta_1; uid=sa; pwd=paroli"; მონაცემთა ბაზასთან შეერთების სტრიქონში სერვერის სახელია:

ა. Shekveta_1

ბ. sa

გ. Computer

17.11.23. string connectionstring = "server=Computer; database=Shekveta_1; uid=sa; pwd=paroli"; მონაცემთა ბაზასთან შეერთების სტრიქონში მონაცემთა ბაზის სახელია:

ა. Shekveta_1

ბ. sa

გ. Computer

17.11.24. string connectionstring = "server=Computer; database=Shekveta_1; uid=sa; pwd=paroli"; მონაცემთა ბაზასთან შეერთების სტრიქონში მომხმარებლის სახელია:

ა. Shekveta_1

ბ. sa

გ. Computer

17.11.25. string connectionstring = "server=Computer; database=Shekveta_1; uid=sa; pwd=paroli"; მონაცემთა ბაზასთან შეერთების სტრიქონში პაროლია:

ა. Shekveta_1

ბ. paroli

გ. Computer

17.11.26. თუ სერვერი ჩვენს (ლოკალურ) კომპიუტერზე მუშაობს, მაშინ:

ა. არ შეგვიძლია მივუთითოთ როგორც კომპიუტერის სახელი, ისე localhost სიტყვა, server = localhost

ბ. შეგვიძლია მივუთითოთ როგორც კომპიუტერის სახელი, ისე localhost სიტყვა, server = localhost

გ. უნდა მივუთითოთ მხოლოდ კომპიუტერის სახელი

მონაცემთა ბაზასთან მუშაობა DataSet ობიექტის გამოყენებით

მონაცემების კითხვა

17.12.1. DataSet ობიექტი მოიცავს:

ა. DataRelation და DataTable ობიექტებს

ბ. მხოლოდ DataRelation ობიექტს

გ. მხოლოდ DataTable ობიექტს

17.12.2. DataTable ობიექტი მოიცავს:

ა. DataRow ობიექტებს

ბ. DataRelation ობიექტებს

გ. DataColumn ობიექტებს

17.12.3. DataRow ობიექტი მოიცავს:

ა. DataColumn ობიექტებს

ბ. DataTable ობიექტებს

გ. DataRelation ობიექტებს

17.12.4. DataSet ობიექტში შეგვიძლია მოვათავსოთ:

ა. მხოლოდ ერთი ცხრილი

ბ. ერთი ან მეტი ცხრილი

გ. მხოლოდ ორი ცხრილი

17.12.5. ცხრილებით DataSet ობიექტის შესავსებად გამოიყენება:

ა. ადაპტერის Update() მეთოდი

ბ. ადაპტერის Fill() მეთოდი

გ. ადაპტერის Insert() მეთოდი

17.12.6. ადაპტერი არის ობიექტი, რომელიც გამოიყენება მონაცემების გადასაგზავნად:

ა. მხოლოდ კლიენტიდან სერვერზე

ბ. კლიენტიდან (ჩვენი კომპიუტერიდან) სერვერზე და პირიქით

გ. მხოლოდ სერვერიდან კლიენტზე

17.12.7. DataSet ობიექტს აქვს Tables თვისება, რომელიც:

ა. არ წარმოადგენს DataTable ტიპის ობიექტების კოლექციას

ბ. წარმოადგენს DataTable ტიპის ობიექტების კოლექციას

გ. წარმოადგენს DataSet ტიპის ობიექტების კოლექციას

17.12.8. DataSet ობიექტის Tables თვისება საშუალებას გვაძლევს ცხრილებს მივმართოთ:

ა. მხოლოდ სახელის მიხედვით

ბ. როგორც სახელის, ისე ინდექსის მიხედვით

გ. მხოლოდ ინდექსის მიხედვით

17.12.9. არასწორია ჩანაწერი:

ა. myDataSet.Tables["Personali"];

ბ. myDataSet.Tables["Personali", 0];

გ. myDataSet.Tables[0];

17.12.10. DataSet ობიექტში ცხრილების ნუმერაცია (ინდექსაცია):

ა. ერთიდან იწყება

ბ. ნულიდან იწყება

გ. ორიდან იწყება

17.12.11. სწორია კოდი:

ა.

```
DataRow personaliTable = new DataTable();
personaliTable = myDataSet.Tables["Personali"];
```

ბ.

```
DataTable personaliTable = new DataTable();
personaliTable = myDataSet.Tables["Personali"];
```

გ.

```
DataColumn personaliTable = new DataTable();
personaliTable = myDataSet.Tables["Personali"];
```

17.12.12. Tables თვისებას აქვს Rows თვისება, რომელიც არის:

ა. DataColumn ობიექტების კოლექცია

ბ. DataRow ობიექტების კოლექცია

გ. DataTable ობიექტების კოლექცია

17.12.13. Tables თვისების Rows თვისება საშუალებას:

ა. არ გვაძლევს ცხრილის სტრიქონს მივმართოთ ინდექსის მიხედვით

ბ. გვაძლევს ცხრილის სტრიქონს მივმართოთ ინდექსის მიხედვით

გ. გვაძლევს ცხრილის სვეტს მივმართოთ ინდექსის მიხედვით

17.12.14. DataRow myRow = myDataSet.Tables["Personali"].Rows[3]; კოდის შესრულების შედეგად myRow ობიექტში ჩაიწერება Personali ცხრილის რიგით:

ა. მეორე სტრიქონი

ბ. მეოთხე სტრიქონი

გ. მესამე სტრიქონი

17.12.15. Tables თვისების Rows თვისებაში სტრიქონების ინდექსაცია იწყება :

ა. 2-დან

ბ. 0-დან

გ. 1-დან

17.12.16. Tables თვისების Rows თვისება საშუალებას გვაძლევს მივმართოთ სტრიქონის სვეტებს:

ა. მხოლოდ სახელის მიხედვით

ბ. სახელის ან ინდექსის მიხედვით

გ. მხოლოდ ინდექსის მიხედვით

17.12.17. არასწორია კოდი:

ა. object gvari_1 = myDataSet.Tables["Personali"].Rows[2]["gvari"];

ბ. object gvari_1 = myDataSet.Tables["Personali"].Rows[2]["gvari", 0];

გ. object gvari_2 = myDataSet.Tables["Personali"].Rows[2][1];

17.12.18. მოცემული კოდის:

string gvari = myDataSet.Tables["Personali"].Rows[2]["gvari"].ToString();

შესრულების შედეგად:

ა. gvari ცვლადში ჩაიწერება "Personali" ცხრილის მნიშვნელობა

ბ. gvari ცვლადში ჩაიწერება "gvari" სვეტის მნიშვნელობა

გ. "gvari" სვეტში ჩაიწერება gvari ცვლადის

17.12.19. Tables თვისების Rows თვისებაში სვეტების ნუმერაცია იწყება:

ა. 2-დან

ბ. 0-დან

გ. 1-დან

17.12.20. myAdapter.Fill(myDataset,"Personali"); კოდის შესრულების შედეგად:

ა. myDataset ობიექტში არ იქმნება DataTable ტიპის Personali ობიექტი, რომელიც ივსება სტრიქონებით Shekveta მონაცემთა ბაზის Personali ცხრილიდან

ბ. myDataset ობიექტში იქმნება DataTable ტიპის Personali ობიექტი, რომელიც ივსება სტრიქონებით Shekveta მონაცემთა ბაზის Personali ცხრილიდან

გ. myDataset ობიექტში იქმნება DataTable ტიპის Personali ობიექტი, რომელიც არ ივსება სტრიქონებით Shekveta მონაცემთა ბაზის Personali ცხრილიდან

17.12.21. Fill() მეთოდი ასრულებს myAdapter ობიექტთან დაკავშირებულ:

ა. INSERT მოთხოვნას

ბ. SELECT მოთხოვნას

გ. UPDAT მოთხოვნას

17.12.22. myAdapter.Fill(myDataset,"Personali"); კოდის შესრულების შედეგად:

ა. Personali ობიექტი მოთავსებული იქნება არა კლიენტის კომპიუტერზე, არამედ სერვერზე

ბ. Personali ობიექტი მოთავსებული იქნება არა სერვერზე, არამედ კლიენტის კომპიუტერზე

გ. Personali ობიექტი მოთავსებული იქნება მხოლოდ სერვერზე

17.12.23. ცხრილებით DataSet ობიექტის შევსების შემდეგ, ამ ცხრილებთან მუშაობა:

ა. არ შეგვეძლება ავტონომიურ (ოფლაინ) რეჟიმში ანუ სერვერთან კავშირის გარეშე

ბ. შეგვეძლება ავტონომიურ (ოფლაინ) რეჟიმში ანუ სერვერთან კავშირის გარეშე
გ. არ შეგვეძლება ავტონომიურ (ოფლაინ) რეჟიმში ანუ სერვერთან კავშირის გარეშე

17.12.24. მონაცემთა ბაზასთან შეერთების აშკარად გახსნა ან დახურვა:
ა. აუცილებელია, რადგან ამას ადაპტერი ავტომატურად არ აკეთებს
ბ. აუცილებელი არ არის, რადგან ამას ადაპტერი ავტომატურად აკეთებს
გ. აუცილებელი არ არის, რადგან ამას ადაპტერი ავტომატურად არ აკეთებს

17.12.25. ობიექტი-ადაპტერი, საჭიროების მიხედვით:
ა. არ ხსნის, მაგრამ ხურავს შეეთებას მონაცემთა ბაზასთან
ბ. ხსნის და ხურავს შეეთებას მონაცემთა ბაზასთან
გ. ხსნის, მაგრამ არ ხურავს შეეთებას მონაცემთა ბაზასთან

17.12.26. ადაპტერი შეერთების მდგომარეობას უცვლელად ინარჩუნებს. ამიტომ, თუ შეერთება გახსნილი იყო ადაპტერის მუშაობის:
ა. დაწყებამდე, მაშინ ადაპტერის მუშაობის დამთავრების შემდეგ შეერთება აღარ დარჩება გახსნილი
ბ. დაწყებამდე, მაშინ ადაპტერის მუშაობის დამთავრების შემდეგ შეერთება ისევ დარჩება გახსნილი
გ. დაწყების შემდეგ, მაშინ ადაპტერის მუშაობის დამთავრების შემდეგ შეერთება ისევ დარჩება გახსნილი

17.12.27. DataReader ობიექტი მისი მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში:
ა. არ ითხოვს მონაცემთა ბაზასთან შეერთების არსებობას
ბ. ითხოვს მონაცემთა ბაზასთან შეერთების არსებობას
გ. ხანდახან ითხოვს მონაცემთა ბაზასთან შეერთების არსებობას

17.12.28. dataGridView კომპონენტში ცხრილის სტრიქონების გამოტანა გაცილებით:
ა. ნელა სრულდება, ვიდრე label კომპონენტში
ბ. სწრაფად სრულდება, ვიდრე label კომპონენტში
გ. ნელა სრულდება, ვიდრე textBox კომპონენტში

17.12.29.
SqlDataAdapter personaliAdapter = new SqlDataAdapter("SELECT * FROM Personali", myConnection);
კოდის შესრულებისას გაიცემა Personali ცხრილის:
ა. პირველი სვეტი და ყველა სტრიქონი
ბ. ყველა სვეტი და ყველა სტრიქონი
გ. ყველა სვეტი და პირველი სტრიქონი

17.12.30. თუ ადაპტერის შექმნისას SELECT ბრძანება გასცემს ყველა სტრიქონსა და ყველა სვეტს, მაშინ:
ა. ასეთი მიდგომა უმჯობესია გამოვიყენოთ დიდი ზომის ცხრილებისათვის, რომლებშიც სვეტებისა და სტრიქონების რაოდენობა დიდია
ბ. ასეთი მიდგომა უმჯობესია გამოვიყენოთ მცირე ზომის ცხრილებისათვის, რომლებშიც სვეტებისა და სტრიქონების რაოდენობა მცირეა
გ. ასეთი მიდგომა უმჯობესია არ გამოვიყენოთ მცირე ზომის ცხრილებისათვის, რომლებშიც სვეტებისა და სტრიქონების რაოდენობა მცირეა

17.12.31. როცა ცხრილში სტრიქონების რაოდენობა აღემატება 100000, მაშინ:

ა. უმჯობესია გამოვიყენოთ მხოლოდ ვერტიკალური ფილტრი

ბ. უმჯობესია გამოვიყენოთ როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური ფილტრი

გ. უმჯობესია გამოვიყენოთ მხოლოდ ჰორიზონტალური ფილტრი

17.12.32. ვერტიკალური ფილტრი გვექნება მაშინ, როცა SELECT ბრძანებაში:

ა. არ მივუთითებთ ცხრილის მხოლოდ იმ სვეტებს, რომლებთანაც რეალურად ვაპირებთ მუშაობას

ბ. მივუთითებთ ცხრილის მხოლოდ იმ სვეტებს, რომლებთანაც რეალურად ვაპირებთ მუშაობას

გ. მივუთითებთ ცხრილის მხოლოდ იმ სვეტებს, რომლებთანაც რეალურად არ ვაპირებთ მუშაობას

17.12.33. SqlDataAdapter personaliAdapter = new SqlDataAdapter(
"SELECT gvari, staji, xelfasi FROM Personali", myConnection); კოდში:

ა. გამოყენებულია ჰორიზონტალური ფილტრი

ბ. გამოყენებულია ვერტიკალური ფილტრი

გ. არაა გამოყენებული ვერტიკალური ფილტრი

17.12.34. ვერტიკალური ფილტრის გამოყენება არ გამოდგება იმ შემთხვევაში, როცა:

ა. ცხრილიდან სტრიქონებს ვშლით

ბ. ცხრილს სტრიქონებს ვუმატებთ, რადგან ამ დროს სტრიქონის თითოეულ სვეტს უნდა მივანიჭოთ შესაბამისი მნიშვნელობა

გ. ცხრილში სტრიქონებს ვცვლით

17.12.35. ჰორიზონტალური ფილტრის შემთხვევაში SELECT ბრძანებაში:

ა. არ უნდა მივუთითოთ WHERE განყოფილება

ბ. უნდა მივუთითოთ WHERE განყოფილება

გ. უნდა მივუთითოთ GROUP BY განყოფილება

17.12.36. ჰორიზონტალური ფილტრის შემთხვევაში ამოირჩევა ცხრილის:

ა. ერთი ან მეტი სვეტი, რომლებთანაც რეალურად ვაპირებთ მუშაობას

ბ. ერთი ან მეტი სტრიქონი, რომლებთანაც რეალურად ვაპირებთ მუშაობას

გ. მხოლოდ ერთი სტრიქონი, რომელთანაც რეალურად ვაპირებთ მუშაობას

17.12.37. SqlDataAdapter personaliAdapter = new SqlDataAdapter(
"SELECT * FROM Personali WHERE staji >= 20", myConnection); კოდში:

ა. გამოყენებულია ვერტიკალური ფილტრი

ბ. გამოყენებულია ჰორიზონტალური ფილტრი

გ. არაა გამოყენებული ჰორიზონტალური ფილტრი

17.12.38. SqlDataAdapter personaliAdapter = new SqlDataAdapter(
"SELECT gvari, asaki, staji, xelfasi FROM Personali WHERE staji >= 20", myConnection); კოდში:

ა. გამოყენებულია მხოლოდ ვერტიკალური ფილტრი

ბ. გამოყენებულია როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური ფილტრი

გ. გამოყენებულია მხოლოდ ჰორიზონტალური ფილტრი

მონაცემების გაფილტვრა

17.13.1. მონაცემების გასაფილტრად:

ა. არ შეგვიძლია DataView ობიექტის გამოყენება

ბ. შეგვიძლია DataView ობიექტის გამოყენება

გ. შეგვიძლია SqlDataAdapter ობიექტის გამოყენება

17.13.2. ფილტრი უნდა მივანიჭოთ dataView ობიექტის:

ა. Sort თვისებას

ბ. RowFilter თვისებას

გ. Count თვისებას

17.13.3. dataView ობიექტის RowFilter თვისებას უნდა მივანიჭოთ ფილტრი, რომელიც:

ა. მთელ რიცხვს წარმოადგენს

ბ. სტრიქონს წარმოადგენს

გ. წილადს წარმოადგენს

17.13.4. dataView1.RowFilter = "ganyofileba = 'სავაჭრო' AND asaki > 30"; კოდის შესრულების შედეგად ეკრანზე გამოჩნდება სტრიქონები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას იმ თანამშრომლების შესახებ, რომლებიც:

ა. არ მუშაობენ სავაჭრო განყოფილებაში და მათი ასაკი აღემატება 30 წელს

ბ. მუშაობენ სავაჭრო განყოფილებაში და მათი ასაკი აღემატება 30 წელს

გ. მუშაობენ სავაჭრო განყოფილებაში და მათი ასაკი არ აღემატება 30 წელს

17.13.5. ფილტრის გასაუქმებლად უნდა შევასრულოთ კოდი:

ა. dataView1.RowFilter = "ganyofileba = 'სავაჭრო' AND asaki > 30";

ბ. dataView1.RowFilter = "";

გ. dataView1.RowFilter = 0;

17.13.6. dataView კომპონენტის RowFilter თვისებაში ფილტრის შესატანად:

ა. არ შეგვიძლია textBox კომპონენტის გამოყენებაც

ბ. შეგვიძლია textBox კომპონენტის გამოყენებაც

გ. შეგვიძლია dataGridView კომპონენტის გამოყენებაც

17.13.7. რომელი კოდია სწორი:

ა. dataView1.RowFilter = dataGridView1.Text;

ბ. dataView1.RowFilter = textBox1.Text;

გ. dataView1.RowFilter = label1.Text;

17.13.8. textBox კომპონენტში ფილტრი შეგვაქვს:

ა. ბრჭყალების მითითებით

ბ. ბრჭყალების გარეშე

გ. აპოსტროფების მითითებით

17.13.9. dataView1.RowFilter = "tarigi_dabadebis > '01.01.1990'" კოდის შესრულების შედეგად გაიცემა ინფორმაცია იმ თანამშრომლების შესახებ, რომლებიც:

ა. არ დაიბადნენ 1990 წლის 1-ლი იანვრის შემდეგ

ბ. დაიბადნენ 1990 წლის 1-ლი იანვრის შემდეგ

გ. დაიბადნენ 1990 წლის 1-ლი იანვრამდე

17.13.10. dataView კომპონენტის RowFilter თვისებაში თარიღის შეტანა:
ა. შეუძლებელია dateTimePicker კომპონენტიდან
ბ. შეგვიძლია dateTimePicker კომპონენტიდან
გ. შეგვიძლია label კომპონენტიდან

მონაცემების დახარისხება

17.14.1. მონაცემების დასახარისხებლად:
ა. არ შეგვიძლია DataView ობიექტის გამოყენება
ბ. შეგვიძლია DataView ობიექტის გამოყენება
გ. შეგვიძლია label ობიექტის გამოყენება

17.14.2. მონაცემების დასახარისხებლად უნდა გამოვიყენოთ DataView ობიექტის:
ა. RowFilter თვისება
ბ. Sort თვისება
გ. Count თვისება

17.14.3. dataView1.Sort = "ganyofileba, asaki DESC"; კოდის შესრულების შედეგად ცხრილი დახარისხდება:
ა. კლებადობით ganyofileba სვეტის მიხედვით და ზრდადობით asaki სვეტის მიხედვით
ბ. ზრდადობით ganyofileba სვეტის მიხედვით და კლებადობით asaki სვეტის მიხედვით
გ. ზრდადობით ganyofileba სვეტის მიხედვით და ზრდადობით asaki სვეტის მიხედვით

17.14.4. დახარისხების გაუქმება შემდეგნაირად შეგვიძლია:
ა. dataView1.Sort = 0;
ბ. dataView1.Sort = "";
გ. dataView1.Sort = "ganyofileba, asaki DESC";

სტრიქონების ძებნა

17.15.1. ცხრილში სტრიქონის მოსაძებნად გამოიყენება:
ა. Sort თვისება
ბ. Find() მეთოდი
გ. RowFilter თვისება

17.15.2. Find() მეთოდი:
ა. არ ითხოვს ცხრილში პირველადი გასაღების დაყენებას
ბ. ითხოვს ცხრილში პირველადი გასაღების დაყენებას
გ. ითხოვს ცხრილში გარე გასაღების დაყენებას

17.15.3. Find() მეთოდი საჭირო მნიშვნელობას:
ა. ეძებს გარე გასაღებში
ბ. ეძებს პირველად გასაღებში
გ. არ ეძებს პირველად გასაღებში

17.15.4. პირველადი გასაღები:
ა. არ შეიძლება შედგებოდეს ერთი ან მეტი სვეტისგან, რომელთა მნიშვნელობები ცალსახად განსაზღვრავს ერთ სტრიქონს

ბ. შეიძლება შედგებოდეს ერთი ან მეტი სვეტისგან, რომელთა მნიშვნელობები ცალსახად განსაზღვრავს ერთ სტრიქონს
გ. შეიძლება შედგებოდეს ერთი ან მეტი სვეტისგან, რომელთა მნიშვნელობები ცალსახად არ განსაზღვრავს ერთ სტრიქონს

17.15.5. Find() მეთოდის მიერ შესრულებული ძებნის შედეგი ყოველთვის:
ა. არ იქნება ერთი სტრიქონი
ბ. იქნება ერთი სტრიქონი
გ. იქნება რამდენიმე სტრიქონი

17.15.6. DataRow findRow = myDataset.Tables["Personali"].Rows.Find(find_key); კოდის შესრულების შედეგად findRow ობიექტს:
ა. მიენიჭება null მნიშვნელობა
ბ. მიენიჭება ნაპოვნი სტრიქონი
გ. არ მიენიჭება ნაპოვნი სტრიქონი

17.15.7. თუ Find() მეთოდმა სტრიქონი ვერ იპოვა, მაშინ გაიცემა:
ა. 0
ბ. null
გ. -1

17.15.8. { DataColumn[] keys = new DataColumn[1];
keys[0] = myDataset.Tables["Personali"].Columns["PersonaliID"];
myDataset.Tables["Personali"].PrimaryKey = keys; }
კოდის შესრულების შედეგად:
ა. განისაზღვრება გარე გასაღები
ბ. განისაზღვრება პირველადი გასაღები
გ. არ განისაზღვრება პირველადი გასაღები

17.15.9. { DataColumn[] keys = new DataColumn[1];
keys[0] = myDataset.Tables["Personali"].Columns["PersonaliID"];
myDataset.Tables["Personali"].PrimaryKey = keys; }
კოდის შესრულების შედეგად:
ა. პირველადი გასაღები იქნება PersonaliID ცხრილის Personali სვეტი
ბ. პირველადი გასაღები იქნება Personali ცხრილის PersonaliID სვეტი
გ. გარე გასაღები იქნება Personali ცხრილის PersonaliID სვეტი

17.15.10. Find() მეთოდი:
ა. არ გასცემს DataRow ობიექტს
ბ. გასცემს DataRow ობიექტს
გ. გასცემს DataColumn ობიექტს

17.15.11. Find() მეთოდს არგუმენტად:
ა. არ გადაეცემა საძებნი სიდიდე
ბ. გადაეცემა საძებნი სიდიდე
გ. არაფერი არ გადაეცემა

17.15.12. თუ პირველადი გასაღები ორი და მეტი სვეტისგან შედგება, მაშინ Find() მეთოდს არგუმენტად:

ა. არ უნდა გადავცეთ ობიექტების მასივი

ბ. უნდა გადავცეთ ობიექტების მასივი

გ. უნდა გადავცეთ ერთი მნიშვნელობა

მონაცემთა ბაზაში მონაცემების შეცვლა

17.16.1. ცხრილებში მოთავსებული მონაცემების შესაცვლელად უნდა შევასრულოთ შემდეგი მოქმედებები:

ა. 1. DataSet ობიექტის შევსება იმ ცხრილებით, რომლებშიც გვინდა მონაცემების შეცვლა; 2. DataSet ობიექტში მოთავსებული ცხრილების გადაგზავნა სერვერზე მონაცემთა ბაზაში; 3. DataSet ობიექტში ცხრილების შეცვლა

ბ. 1. DataSet ობიექტის შევსება იმ ცხრილებით, რომლებშიც გვინდა მონაცემების შეცვლა; 2. DataSet ობიექტში ცხრილების შეცვლა; 3. DataSet ობიექტში მოთავსებული ცხრილების გადაგზავნა სერვერზე მონაცემთა ბაზაში

გ. 1. DataSet ობიექტში ცხრილების შეცვლა; 2. DataSet ობიექტში მოთავსებული ცხრილების გადაგზავნა სერვერზე მონაცემთა ბაზაში; 3. DataSet ობიექტის შევსება იმ ცხრილებით, რომლებშიც გვინდა მონაცემების შეცვლა

17.16.2. ადაპტერის შექმნის შემდეგ უნდა შევქმნათ:

ა. არაკორექტული SQL ბრძანებები: INSERT, UPDATE და DELETE, ცხრილებში მონაცემების შეცვლის მიზნით

ბ. კორექტული SQL ბრძანებები: INSERT, UPDATE და DELETE, ცხრილებში მონაცემების შეცვლის მიზნით

გ. კორექტული SQL ბრძანებები: UPDATE და DELETE, ცხრილებში მონაცემების შეცვლის მიზნით

17.16.3. ადაპტერის შექმნის შემდეგ უნდა შევქმნათ კორექტული SQL ბრძანებები: INSERT, UPDATE და DELETE, ცხრილებში მონაცემების შეცვლის მიზნით. ამას ავტომატურად აკეთებს:

ა. SqlDataAdapter კლასი

ბ. SqlCommandBuilder კლასი

გ. SqlConnection კლასი

17.16.4. SqlCommandBuilder კლასის კონსტრუქტორს არგუმენტად გადაეცემა:

ა. SqlConnection კლასის ობიექტი

ბ. SqlDataAdapter კლასის ობიექტი

გ. Dataset კლასის ობიექტი

17.16.5. SqlCommandBuilder კლასის ობიექტის შექმნისას:

ა. არ ხდება SQL ბრძანებების გენერირება და ასოცირება SqlDataAdapter ობიექტთან კონსტრუქტორის მიერ

ბ. ხდება SQL ბრძანებების გენერირება და ასოცირება SqlDataAdapter ობიექტთან კონსტრუქტორის მიერ

გ. ხდება SQL ბრძანებების მხოლოდ გენერირება

17.16.6. myAdapter.Update(myDataset, "Personali"); კოდში:

ა. myAdapter ობიექტის Update() მეთოდი არ ასრულებს myDataset ობიექტიდან Personali ცხრილის გადაგზავნას სერვერზე Shekveta მონაცემთა ბაზაში

ბ. myAdapter ობიექტის Update() მეთოდი ასრულებს myDataset ობიექტიდან Personali ცხრილის გადაგზავნას სერვერზე Shekveta მონაცემთა ბაზაში

გ. myAdapter ობიექტის Update() მეთოდი ასრულებს myDataset ობიექტის Personali ცხრილში სერვერზე მოთავსებული Shekveta მონაცემთა ბაზიდან Personali ცხრილის გადმოწერას

17.16.7. Update() მეთოდი:

ა. არ ამოწმებს Personali ცხრილის თითოეულ სტრიქონს, შეიცვალა თუ არა ის

ბ. ამოწმებს Personali ცხრილის თითოეულ სტრიქონს, შეიცვალა თუ არა ის

გ. ამოწმებს Personali ცხრილის მხოლოდ პირველ სტრიქონს, შეიცვალა თუ არა ის

17.16.8. Rows კოლექციის თითოეულ სტრიქონს აქვს RowState თვისება, რომელიც განსაზღვრავს:

ა. სტრიქონი იყო თუ არა წაშლილი ან დამატებული

ბ. სტრიქონი იყო თუ არა წაშლილი, დამატებული, შეცვლილი თუ დარჩა უცვლელი

გ. სტრიქონი იყო თუ არა წაშლილი ან შეცვლილი

17.16.9. იმისათვის, რომ ცხრილის რომელიმე სტრიქონის ველს მივანიჭოთ საჭირო მნიშვნელობა:

ა. არ უნდა მივუთითოთ სტრიქონის ინდექსი (ნომერი) და სვეტის სახელი ან ინდექსი

ბ. უნდა მივუთითოთ სტრიქონის ინდექსი (ნომერი) და სვეტის სახელი ან ინდექსი

გ. უნდა მივუთითოთ სტრიქონის მხოლოდ ინდექსი

17.16.10. რომელი კოდია სწორი:

ა. myDataset.Tables["Personali"].Rows[3]["asaki"] = Convert.ToInt32;

ბ. myDataset.Tables["Personali"].Rows[3]["asaki"] = Convert.ToInt32(textBox1.Text);

გ. myDataset.Tables["Personali"].Rows[3]["asaki"] = Update();

17.16.11. myDataset.Tables["Personali"].Rows[3]["asaki"] = Convert.ToInt32(textBox1.Text); კოდის შესრულების შედეგად:

ა. არ შეიცვლება ჩვენს ლოკალურ კომპიუტერში მოთავსებული myDataset ობიექტის Personali ცხრილი და არა სერვერზე მოთავსებული Shekveta მონაცემთა ბაზის Personali ცხრილი

ბ. შეიცვლება ჩვენს ლოკალურ კომპიუტერში მოთავსებული myDataset ობიექტის Personali ცხრილი და არა სერვერზე მოთავსებული Shekveta მონაცემთა ბაზის Personali ცხრილი

გ. შეიცვლება ჩვენს ლოკალურ კომპიუტერში მოთავსებული myDataset ობიექტის Personali ცხრილი და სერვერზე მოთავსებული Shekveta მონაცემთა ბაზის Personali ცხრილი

SELECT, UPDATE, INSERT და DELETE ბრძანებების ნახვა

17.17.1. CommandBuilder ობიექტი, ახდენს SQL ბრძანებების გენერირებას, რომლებიც:

ა. არ გამოიყენება მონაცემების მოდიფიცირებისთვის

ბ. გამოიყენება მონაცემების მოდიფიცირებისთვის

გ. გამოიყენება მონაცემების წაკითხვისთვის

17.17.2. CommandBuilder ობიექტი, ახდენს SQL ბრძანებების გენერირებას, რომლებიც გამოიყენება მონაცემების მოდიფიცირებისთვის. ეს ბრძანებებია:

ა. UPDATE და DELETE
ბ. INSERT, UPDATE და DELETE
გ. INSERT და DELETE

17.17.3. CommandBuilder ობიექტის მიერ INSERT, UPDATE და DELETE ბრძანებების გენერირება:

ა. არ ხდება ადაპტერში მითითებული SELECT ბრძანების საფუძველზე
ბ. ხდება ადაპტერში მითითებული SELECT ბრძანების საფუძველზე
გ. ხდება ადაპტერში მითითებული UPDATE ბრძანების საფუძველზე

17.17.4. გენერირებული ბრძანებების მისაღებად და სანახავად შეგვიძლია შესაბამისად გამოვიყენოთ CommandBuilder ობიექტის:

ა. GetUpdateCommand() და GetDeleteCommand() მეთოდები
ბ. GetInsertCommand(), GetUpdateCommand() და GetDeleteCommand() მეთოდები
გ. GetInsertCommand() და GetDeleteCommand() მეთოდები

17.17.5. GetInsertCommand() მეთოდი გასცემს გენერირებულ:

ა. INSERT ბრძანებას
ბ. UPDATE ბრძანებას
გ. DELETE ბრძანებას

17.17.6. GetUpdateCommand()მეთოდი გასცემს გენერირებულ:

ა. DELETE ბრძანებას
ბ. UPDATE ბრძანებას
გ. INSERT ბრძანებას

17.17.7. GetDeleteCommand() მეთოდი გასცემს გენერირებულ:

ა. INSERT ბრძანებას
ბ. DELETE ბრძანებას
გ. UPDATE ბრძანებას

17.17.8. { SqlCommand updateCommand = myBuilder.GetUpdateCommand();
label1.Text += updateCommand.CommandText + "\n"; } კოდის შესრულების შედეგად გაიცემა:

ა. გენერირებული UPDATE ბრძანება
ბ. გენერირებული DELETE ბრძანება
გ. გენერირებული INSERT ბრძანება

17.17.9. { SqlCommand insertCommand = myBuilder.GetInsertCommand();
label1.Text += insertCommand.CommandText + "\n"; } კოდის შესრულების შედეგად გაიცემა:

ა. გენერირებული UPDATE ბრძანება
ბ. გენერირებული DELETE ბრძანება
გ. გენერირებული INSERT ბრძანება

17.17.10. { SqlCommand deleteCommand = myBuilder.GetDeleteCommand();
label1.Text += deleteCommand.CommandText + "\n"; } კოდის შესრულების შედეგად გაიცემა:

ა. გენერირებული UPDATE ბრძანება
ბ. გენერირებული DELETE ბრძანება
გ. გენერირებული INSERT ბრძანება

მონაცემთა ბაზაში სტრიქონების დამატება

17.18.1. ცხრილში ახალი სტრიქონების დასამატებლად შემდეგი მოქმედებები უნდა შევასრულოთ:

ა. 1. ახალი DataRow ობიექტის შექმნა; 2. მონაცემებით მისი შევსება; 3. შევსებული სტრიქონის დამატება DataSet ობიექტის Rows კოლექციისთვის; 4. ადაპტერის Update() მეთოდის შესრულება
ბ. 3. ადაპტერის Update() მეთოდის შესრულება; 2. მონაცემებით მისი შევსება; 3. შევსებული სტრიქონის დამატება DataSet ობიექტის Rows კოლექციისთვის; 4. ახალი DataRow ობიექტის შექმნა;
გ. 1. შევსებული სტრიქონის დამატება DataSet ობიექტის Rows კოლექციისთვის; 2. ახალი DataRow ობიექტის შექმნა; 3. მონაცემებით მისი შევსება; 4. ადაპტერის Update() მეთოდის შესრულება

17.18.2. Rows კოლექციას აქვს Count თვისება, რომელშიც:

ა. ავტომატურად იწერება შესაბამის ცხრილში არსებული სტრიქონების რაოდენობა
ბ. ავტომატურად არ იწერება შესაბამის ცხრილში არსებული სტრიქონების რაოდენობა
გ. ავტომატურად იწერება შესაბამის ცხრილში არსებული სვეტების რაოდენობა

17.18.3. label1.Text = myDataset.Tables["Personali"].Rows.Count.ToString() + "\n"; კოდის შესრულების შედეგად გაიცემა:

ა. Personali ცხრილის სტრიქონების რაოდენობა
ბ. Personali ცხრილის სვეტების რაოდენობა
გ. myDataset ცხრილის სტრიქონების რაოდენობა

17.18.4. ცხრილში ახალი სტრიქონის დამატების შემდეგ, შესაბამისი ცხრილის Rows კოლექციის Count თვისების მნიშვნელობა:

ა. ერთით გაიზრდება
ბ. ერთით შემცირდება
გ. განულდება

17.18.5. DataRow myRow = myDataset.Tables["Personali"].NewRow(); კოდში :

ა. იქმნება DataRow ტიპის myRow ობიექტი myDataset ობიექტის NewRow() მეთოდის გამოყენებით
ბ. იქმნება myDataset ტიპის myRow ობიექტი myDataset ობიექტის NewRow() მეთოდის გამოყენებით
გ. იქმნება DataRow ტიპის myDataset ობიექტი myDataset ობიექტის NewRow() მეთოდის გამოყენებით

17.18.6. DataRow myRow = myDataset.Tables["Personali"].NewRow(); კოდის შესრულების შედეგად მიღებული myRow ობიექტის სტრუქტურა:

ა. ემთხვევა Personali ცხრილის სტრუქტურას

ბ. არ ემთხვევა Personali ცხრილის სტრუქტურას
გ. ემთხვევა myDataset ცხრილის სტრუქტურას

17.18.7. DataRow myRow = myDataset.Tables["Personali"].NewRow(); კოდის შესრულების შედეგად მიღებული myRow ობიექტი:
ა. შეიცავს Personali ცხრილის მხოლოდ იმ სვეტებს, რომლებიც ადაპტერში განსაზღვრულ SELECT ბრძანებაშია მოთავსებული
ბ. არ შეიცავს Personali ცხრილის მხოლოდ იმ სვეტებს, რომლებიც ადაპტერში განსაზღვრულ SELECT ბრძანებაშია მოთავსებული
გ. შეიცავს Personali ცხრილის მხოლოდ იმ სტრიქონებს, რომლებიც ადაპტერში განსაზღვრულ SELECT ბრძანებაშია მოთავსებული

17.18.8. DataRow myRow = myDataset.Tables["Personali"].NewRow(); კოდის შესრულების შედეგად მიღებული myRow ობიექტში:
ა. სვეტები ცარიელია და მათ უნდა მივანიჭოთ კონკრეტული მნიშვნელობები
ბ. სვეტები არაა ცარიელი და მათ არ უნდა მივანიჭოთ კონკრეტული მნიშვნელობები
გ. სვეტები ცარიელია და მათ არ უნდა მივანიჭოთ კონკრეტული მნიშვნელობები

17.18.9. როცა ყველა სვეტს მივანიჭებთ საჭირო მნიშვნელობებს, მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დავუმატოთ myRow ობიექტი Personali ცხრილს Rows კოლექციის:
ა. Add() მეთოდის გამოყენებით
ბ. Close() მეთოდის გამოყენებით
გ. Remove() მეთოდის გამოყენებით

17.18.10. myDataset.Tables["Personali"].Rows.Add(myRow); კოდის შესრულების შედეგად:
ა. myRow ობიექტი დაემატება Personali ცხრილის Rows კოლექციას
ბ. myRow ობიექტი წაიშლება Personali ცხრილის Rows კოლექციიდან
გ. myRow ობიექტი დაემატება Personali ცხრილის myDataset კოლექციას

17.18.11. როცა ყველა სვეტს მივანიჭებთ საჭირო მნიშვნელობებს და შევასრულებთ Rows კოლექციის Add() მეთოდს, მხოლოდ:
ა. ამის შემდეგ უნდა შევასრულოთ ადაპტერის Update() მეთოდი ცვლილებების შესანახად სერვერზე მოთავსებულ მონაცემთა ბაზაში
ბ. ამის შემდეგ უნდა შევასრულოთ Dataset ობიექტის Update() მეთოდი ცვლილებების შესანახად სერვერზე მოთავსებულ მონაცემთა ბაზაში
გ. ამის შემდეგ უნდა შევასრულოთ ადაპტერის Fill() მეთოდი ცვლილებების შესანახად სერვერზე მოთავსებულ მონაცემთა ბაზაში

17.18.12. იმისათვის, რომ რომელიმე სვეტს მივანიჭოთ მნიშვნელობები, საჭიროა ეს სვეტი მითითებული:
ა. იყოს SELECT მოთხოვნაში, რომელიც მიეთითება ადაპტერის შექმნისას
ბ. არ იყოს SELECT მოთხოვნაში, რომელიც მიეთითება ადაპტერის შექმნისას
გ. იყოს INSERT მოთხოვნაში, რომელიც მიეთითება ადაპტერის შექმნისას

17.18.13. იმისათვის, რომ რომელიმე სვეტს მივანიჭოთ მნიშვნელობები, საჭიროა ეს სვეტი მითითებული იყოს SELECT მოთხოვნაში, რომელიც მიეთითება ადაპტერის შექმნისას. თუ სვეტი მითითებული არ არის, მაშინ მისი მნიშვნელობა იქნება:
ა. null

ბ. 0
გ. 1

სტრიქონების წაშლა

17.19.1. ცხრილიდან სტრიქონის წასაშლელად გამოიყენება DataRow ობიექტის:
ა. Delete() მეთოდი
ბ. Add() მეთოდი
გ. Insert() მეთოდი

17.19.2. ცხრილიდან სტრიქონის წასაშლელად Delete() მეთოდის შემდეგ:
ა. აუცილებელია Update() მეთოდის შესრულება
ბ. არაა აუცილებელი Update() მეთოდის შესრულება
გ. აუცილებელია Insert() მეთოდის შესრულება

17.19.3. საქმე ის არის, რომ Delete() მეთოდი:
ა. არ შლის სტრიქონს, არამედ მონიშნავს მას შემდგომი წაშლისთვის
ბ. შლის სტრიქონს, არამედ მონიშნავს მას შემდგომი წაშლისთვის
გ. არ შლის სტრიქონს, არამედ არ მონიშნავს მას შემდგომი წაშლისთვის

17.19.4. Update() მეთოდი ახდენს ცვლილებების რეალურად ფიქსირებას, ე.ი. :
ა. წასაშლელად მონიშნული სტრიქონის წაშლას
ბ. წასაშლელად მოუნიშნავი სტრიქონის წაშლას
გ. წასაშლელად მონიშნული სტრიქონის ჩამატებას

17.19.5. DataRow findRow = myDataset.Tables["Personali"].Rows.Find(find_key);

```
if ( findRow != null )
{
        findRow.Delete();
        myAdapter.Update(myDataset, "Personali");
}
```

კოდის შესრულების შედეგად:
ა. წაიშლება ნაპოვნი სტრიქონი
ბ. არ წაიშლება ნაპოვნი სტრიქონი
გ. წაიშლება ყველა სტრიქონი

ორ ცხრილს შორის ბმის შექმნა

17.20.1. ორ ცხრილს შორის ბმის შესაქმნელად გამოიყენება:
ა. DataRelation ობიექტი
ბ. DataSet ობიექტი
გ. DataTable ობიექტი

17.20.2. DataRelation ობიექტი კავშირს:
ა. ამყარებს DataTable ობიექტებს შორის
ბ. არ ამყარებს DataTable ობიექტებს შორის
გ. ამყარებს DataSet ობიექტებს შორის

17.20.3. მთავარია Personali ცხრილი. მისი პირველადი გასაღებია personaliID სვეტი. Shemkveti ცხრილი დამოკიდებულია. მისი გარე გასაღებია personaliID სვეტი. ამ ცხრილებს შორის კავშირის დასამყარებლად:

ა. Personali ცხრილის პირველადი გასაღები უნდა დავუკავშიროთ Shemkveti ცხრილის გარე გასაღებს

ბ. Shemkveti ცხრილის პირველადი გასაღები უნდა დავუკავშიროთ Personali ცხრილის გარე გასაღებს

გ. Personali ცხრილის გარე გასაღები უნდა დავუკავშიროთ Shemkveti ცხრილის პირველადი გასაღებს

17.20.4. DataRelation ობიექტის შესაქმნელად გამოიყენება Relations ობიექტის:

ა. Add() მეთოდი

ბ. Remove() მეთოდი

გ. Insert() მეთოდი

17.20.5. Add() მეთოდის:

ა. პირველი პარამეტრი ბმის სახელია, მეორე - პირველადი გასაღები, მესამე კი - გარე გასაღები

ბ. პირველი პარამეტრია გარე გასაღები, მეორე - პირველადი გასაღები, მესამე კი - ბმის სახელი

გ. პირველი პარამეტრია პირველადი გასაღები, მეორე - გარე გასაღები, მესამე კი - გარე გასაღები

17.20.6. DataRelation personaliShemkvetiRelation = myDataset.Relations.Add("PersonaliShemkveti", myDataset.Tables["Personali"].Columns["PersonaliID"], myDataset.Tables["Shemkveti"].Columns["PersonaliID"]); კოდის შესრულების შედეგად:

ა. Personali ცხრილის PersonaliID სვეტი დაუკავშირდება Shemkveti ცხრილის PersonaliID სვეტს. ბმის სახელია PersonaliShemkveti

ბ. Shemkveti ცხრილის Personali სვეტი დაუკავშირდება Personali ცხრილის Shemkveti სვეტს. ბმის სახელია PersonaliShemkveti

გ. Personali ცხრილის PersonaliID სვეტი დაუკავშირდება Shemkveti ცხრილის PersonaliID სვეტს. ბმის სახელია myDataset.Tables["Personali"]

17.20.7. DataRelation personaliShemkvetiRelation = myDataset.Relations.Add("PersonaliShemkveti", myDataset.Tables["Personali"].Columns["PersonaliID"], myDataset.Tables["Shemkveti"].Columns["PersonaliID"]); კოდის შესრულების შედეგად ბმის სახელი იქნება:

ა. PersonaliShemkveti

ბ. DataRelation

გ. myDataset

17.20.8. DataRelation personaliShemkvetiRelation = myDataset.Relations.Add("PersonaliShemkveti", myDataset.Tables["Personali"].Columns["PersonaliID"], myDataset.Tables["Shemkveti"].Columns["PersonaliID"]); კოდის შესრულების შედეგად:

ა. Personali ცხრილის PersonaliID პირველადი გასაღები დაუკავშირდება Shemkveti ცხრილის PersonaliID გარე გასაღებს

ბ. Shemkveti ცხრილის PersonaliID პირველადი გასაღები დაუკავშირდება Personali ცხრილის PersonaliID გარე გასაღებს
გ. Personali ცხრილის PersonaliID პირველადი გასაღები დაუკავშირდება Shemkveti ცხრილის PersonaliID პირველად გასაღებს

17.20.9. DataRelation personaliShemkvetiRelation = myDataset.Relations.Add("PersonaliShemkveti", myDataset.Tables["Personali"].Columns["PersonaliID"], myDataset.Tables["Shemkveti"].Columns["PersonaliID"]); კოდში:
ა. პირველადი გასაღებია Personali ცხრილის PersonaliID სვეტი, გარე გასაღებია Shemkveti ცხრილის PersonaliID სვეტი
ბ. გარე გასაღებია Personali ცხრილის PersonaliID სვეტი, პირველადი გასაღებია Shemkveti ცხრილის PersonaliID სვეტი
გ. პირველადი გასაღებია Personali ცხრილის PersonaliID სვეტი, პირველად გასაღებია Shemkveti ცხრილის PersonaliID სვეტი

17.20.10. ორ ცხრილს შორის კავშირის დამყარების წინ:
ა. საჭიროა myDataset ობიექტის შევსება ორივე ცხრილით
ბ. არაა საჭირო myDataset ობიექტის შევსება ორივე ცხრილით
გ. საჭიროა myDataset ობიექტის შევსება ერთ-ერთი ცხრილით

17.20.11. DataRelation personaliShemkvetiRelation = myDataset.Relations.Add("PersonaliShemkveti", myDataset.Tables["Personali"].Columns["PersonaliID"], myDataset.Tables["Shemkveti"].Columns["PersonaliID"]); კოდში:
ა. Personali და Shemkveti ცხრილებს შორის კავშირის დასამყარებლად იქმნება personaliShemkvetiRelation ობიექტი
ბ. Personali და Shemkveti ცხრილებს შორის კავშირის გასაწყვეტად იქმნება personaliShemkvetiRelation ობიექტი
გ. Personali და Shemkveti ცხრილებს შორის კავშირის დასამყარებლად იქმნება PersonaliShemkveti ობიექტი

17.20.12. იმისათვის, რომ Personali ცხრილის თითოეული სტრიქონისთვის გამოვიტანოთ შესაბამისი ბმული სტრიქონები Shemkveti ცხრილიდან, უნდა გამოვიყენოთ DataRow ობიექტის:
ა. GetChildRows() მეთოდი, რომელსაც პარამეტრად უნდა გადავცეთ DataRelation ობიექტი
ბ. SetChildRows() მეთოდი, რომელსაც პარამეტრად უნდა გადავცეთ DataRelation ობიექტი
გ. GetChildRows() მეთოდი, რომელსაც პარამეტრად უნდა გადავცეთ Dataset ობიექტი

SQL ბრძანებების უშუალო შესრულება

ერთი მნიშვნელობის მიღება

17.21.1. თუ საჭიროა სტრიქონების წაშლა ან სტრიქონებში სვეტების მნიშვნელობების შეცვლა, მაშინ დიდი ცხრილებისთვის:
ა. გაცილებით ეფექტური იქნება ამის გაკეთება ერთი SQL-ბრძანებით
ბ. ნაკლებად ეფექტური იქნება ამის გაკეთება ერთი SQL-ბრძანებით
გ. გაცილებით ეფექტური იქნება ამის გაკეთება ორი SQL-ბრძანებით

17.21.2. როცა საჭიროა SQL მოთხოვნისაგან ერთი შედეგის მიღება, მაშინ უმჯობესია SlqCommand ობიექტის:

ა. ExecuteScalar() მეთოდის გამოყენება
ბ. EndExecuteReader()მეთოდის გამოყენება
გ. BeginExecuteReader()მეთოდის გამოყენება

17.21.3. ExecuteScalar() გასცემს:

*ა. სკალარულ მნიშვნელობას
ბ. ვექტორულ მნიშვნელობას
გ. არასკალარულ მნიშვნელობას

17.21.4. { ... myCommand.CommandText = "SELECT COUNT(*) FROM Personali"; Object countResult = myCommand.ExecuteScalar(); ... } კოდის შესრულების შედეგად:

